# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№9 (267) ნოემბერი, 2013 წ. www.tsmu.edu


# გილოცავთ!

## ქართველთა საყვარელი წმინდანი – ბოროტებაზე გამარჯვების სიმბოლო



23 ნოემბერს კიდევ ერთ გიორგობას შეეგება ქრისტიანული სამყარო, ხსენების დღეს წმინდანისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარულია მთელ საქრისტიანოში, თუმცა ქართველებისთვის იგი განსაკუთრებით გამორჩეული და საყვარელი წმინდანია. როგორც **ივანე ჯავახიშვილი** აღნიშნავს: **„თითქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა"**. საქართველოს ყველა კუთხე მოფენილია წმიდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიებით, რომელთა რიცხვიც, ხალხში გავრცელებული მტკიცებით, 365-ს შეადგენს – წლის დღეების შესაბამისად.

ჩვენში წმინდანის ამგვარ პოპულარობას სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს, უპირველესად კი, ალბათ ის, რომ ქართველ კაცს არა მარტო ხიბლავს, არამედ ღრმად სწამს გველეშაპის მძლეველი წმინდანის გამარჯვების კანონზომიერება, შესაბამისად – ბოროტების სიკეთით ძლევის გარდუვალობა.

წმინდა გიორგის კულტის დომინანტობა უეჭველია ჩვენს ლიტერატურულ თხზულებებში, ხელოვნებაში, მითოლოგიაში, პოეზიაში...

ქართველმა ხალხმა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ბრძოლაში გამარჯვებაც თავის საყვარელ წმინდანს დაუკავშირა (რა თქმა უნდა, სათაყვანებელი მეფის ღვაწლსა და ძალისხმევასთან ერთად): „ძლევაჲ საკვირველი" – ბედნიერი პროლოგი დიდი საქართველოს გაერთიანების – სწორედ **„თეთრი გიორგის"** უხილავი მფარველობით შედგა. ასეთი იყო ქართველთა რწმენა. და შემდგომაც, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ამ რწმენით გულანთებული მამულიშვილები, ჭეშმარიტი ერისკაცები, საზოგადოებასაც ამ შეგნებით წარმართავდნენ უკუნიდან სინათლისკენ. რწმენა კი, როგორც იმედის ნაპერწკალი, როგორც სტიმული, როგორც უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა, მთავარი იარაღი იყო არა მხოლოდ თვითდამკვიდრების, ხშირად – გადარჩენისთვის ბრძოლაშიც. თუმცა ისტორიას ახსოვს სიმბოლოების გაუბრალოების მცდელობაც და გამარჯვების იმედით შთაგონებული საზოგადოების იმედგაცრუება და სკეფსისიც. უცნაური მოირა ასეთ შემთხვევაშიც ქართველთა სასარგებლოდ სწონიდა თემიდას სასწორს – ესეც გასავლელი გზა იყო და იმიტომ: გაიფილტრა, დაილექა, თვალხილული გახდა ყოველი... სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების მითი კი – თეთრ ცხენზე ამხედრებული ზღაპრული მზეჭაბუკის ძლევამოსილების ამბავი – კვლავ უცვლელი და მარადიულია, ვითარცა სიმბოლო საქართველოს უკვდავების.

**ნატო ბოლქვაძე**

*წარმატებული პროექტები*

# MUMEENA-ს კონფერენციაზე



ბაქოში გაიმართა ტემპუსის პროექტის – „MUMEENA"-ს – კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგაციები პროექტის პარტნიორი ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი – ლიდსის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები – უტრეხტის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრი, იტალია – რომის საკრეკორის უნივერსიტეტი, ესპანეთი – გრანადის უნივერსიტეტი, უკრაინა – კიევის და ივანო-ფრანკოვსკის სამედიცინო უნივერსიტეტები, საქართველო – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტები, აზერბაიჯანი – აზერბაიჯანის და ნახიჩევანის სამედიცინო უნივერსიტეტები.

კონფერენციას ესწრებოდა ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: პროექტის კოორდინატორი საქართველოში, პროფესორი **გაიანე სიმონია**, პროექტის ფინანსური მენეჯერი, პროფესორი **ია ფანცულაია**, თსსუ-ის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი **ირინა ანდრონიკაშვილი**.

კონფერენციაზე ტემპუსის პროექტის კოორდინატორის, ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორის, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორი **ტრუდი რობერტსის**, მიერ ხაზგასმით აღინიშნა პროექტის წარმატებით განხორციელებაში თსსუ-ის მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

კონფერენციაზე პროფესორმა **გაიანე სიმონიამ** წარადგინა საქართველოში პროექტის განხორციელების დეტალური ორწლიანი ანგარიში. პროფესორებმა: **გაიანე სიმონიამ** და **ირინა ანდრონიკაშვილმა** ჩაატარეს ვორქშოპი შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების მეთოდოლოგიაში, რომელმაც დამსწრეთა დაინტერესება დაიმსახურა.

გაიმართა დისკუსია, რომელიც შეეხო პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.

გადაწყდა, რომ პროექტის დასკვნითი, შემაჯამებელი კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის ივნისში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

# ამოქმედდა ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროგრამა



პრიორიტეტული მოთხოვნებით განპირობებული კადრების მომზადების მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საქართველოს ჯანდაცვის და განათლების სიტემაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, სწავლებისა და სპეციალისტთა პროფესიული განვითარების ოპტიმიზაცია მიმდინარეობს საგანმანათლებლო გეგმა–პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველზე. აღნიშნულის მიზანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რისთვისაც შემუშავებულია ახალი ადაპტირებული სასწავლო პროგრამები.

მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდა ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამა – **„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი",** რომელიც შემუშავდა და განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიის („უნიმენი", საფრანგეთი) ერთობლივი პროექტის საფუძველზე. 2012 წლის სექტემბრიდან, ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I და II კურსზე 2 საპილოტე ჯგუფი შეუდგა ამ პროგრამით სწავლას

ქართულ–ფრანგულ პროგრამაზე – **„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი"** – სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ფრანგული ენის გაძლიერებულ სწავლებას დაწყებითი დონიდან, ფრანგი პედაგოგების ხელმძღვანელობით. დამამთავრებელ კურსზე, სპეციალური საგნების სწავლებისას, გათვალისწინებულია ფრანგი ლექტორების მონაწილეობა.



**პროფესორი ბიძინა ზურაშვილი,**
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი

# გამოცხადდა კონკურსი

## ALRAKIS II

ა.წ. ზაფხულში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მიაღწია დიდ წარმატებას ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამა – ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ დაფინანსდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი უნივერსიტეტებისგან შექმნილი კონსორციუმი – MEDEA (Medical Universities Alliance), რომელშიც გაერთიანებულია 15 ქვეყნის სამედიცინო პროფილის მქონე 20 უნივერსიტეტი. ჩვენი უნივერსიტეტი არის პროექტ MEDEA-ს ინიციატორი და რეგიონული კოორდინატორი.

პროგრამის ფარგლებში სრულად ფინანსდება მობილობა ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, პოსტ-დოქტორებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის მოკლევადიანი მობილობა პროექტში ჩართულ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ახლახან ERASMUS MUNDUS-ის პროგრამის აქტივობის ფარგლებში, გამოცხადდა მეორე კონკურსი პროექტზე – ALRAkIS 2.

თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით, ბიბლიოთეკის ცისფერ დარბაზში, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ია ავალიანი** და ამავე დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, **ნინო კანდელაკი**.

ALRAkIS 2-ის ფარგლებში განხორციელდება გაცვლითი პროგრამები საბაკალავრო, პოსტსადოქტორო საფეხურებზე.


„სამედიცინო გაზეთის"
რედაქცია:
ვაჟა-ფშაველას გამზ. №33;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64;
რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76-25-98


კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
ელ. ფოსტა:
medpressa@yahoo.com

# ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში

Association of Academic Health Centers® International
*Leading institutions that serve society*

UNIVERSITAS BUDAPESTINENSIS DE SEMMELWEIS NOMINATA • 1769 •

ნოემბრის დასაწყისში თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია** და რექტორის მოადგილე, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი** ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ბუდაპეშტში, ჯანდაცვის აკადემიური ცენტრების საერთაშორისო ასოციაციის (AAHCI) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ კონფერენციაზე.

კონფერენცია ეძღვნებოდა უნივერსიტეტების და საუნივერსიტეტო კლინიკების თანამშრომლობის განვითარებას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობათა განხილვას სამედიცინო განათლების, კლინიკური საქმიანობის და სამეცნიერო კვლევის სფეროებში, ამდენად – იგი სტრატეგიული მნიშვნელობის ღონისძიება გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს მედიცინის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები.

*კვირეული*

# მიეძღვნა სტუდენტთა საერთაშორისო დღეს



ჯერ კიდევ 1946 წლის 17 ნოემბერს, ჩეხ პატრიოტ სტუდენტთა ხსოვნის პატივსაცემად, დაწესდა სტუდენტთა საერთაშორისო დღე. საქართველოში ეს თარიღი პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ აღნიშნა 2009 წელს. მას შემდეგ, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გამონაკლისი არც 2013 წელი ყოფილა და სამედიცინო უნივერსიტეტმა მრავალ შემეცნებით, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებას გაუკეთა ორგანიზება, რომელთა მიმდინარეობაშიც ჩვენი უნივერსიტეტის 800-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.





კვირეული გაიხსნა სტუდენტების თეატრალიზებული დადგმით და **„უშუს“** ფედერაციის გამოსვლითა და **„ჰაკის“** (რაგბის თამაშის დაწყების წინ სიმბოლური ცეკვა) ორიგინალური შესრულებით გაგრძელდა. იმავე დღეს მომავალი ექიმების ხელნაკეთი ნივთების, ნახატებისა და ფოტოების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

მეორე დღე თითქმის მთლიანად სპორტს მიეძღვნა. ზოგადად კვირეულის ფარგლებში მოეწყო ჩემპიონატი სპორტის სხვადასხვა სახეობაში _ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის მიზნით სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მკლავჭიდში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, ჭადრაკსა თუ შაშში.

ტრადიცია არ დაარღვია არასამთავრობო ორგანიზაციამ **„დონორთა კლუბი“.** მათი ინიციატივითა და თსსუ–ის სტუდენტური თვითმმართველობის ხელშეწყობით, კიდევ ერთხელ შედგა უანგარო აქცია - **„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“**, რომლის განმავლობაშიც სამედიცინო უნივერსიტეტის 45-მა სტუდენტმა გაიღო სისხლი.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კიდევ ერთ საინტერესო პროგრამას ჩაეყარა საფუძველი. სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერითა და **„ESN თბილისის“** ორგანიზებით, გაიმართა **„Language Club” – ის** პრეზენტაცია, რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელ სტუდენტებს გაიარონ ქართული ენის უფასო კურსები, რათა შემდგომ კომუნიკაციის პრობლემა მოიხსნას და მოხერხდეს მათი ინტეგრაცია სტუდენტურ ცხოვრებაში.

კვირეულის ფარგლებში მოეწყო დიაბეტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე –– **„ორსულთა დიაბეტი“,** სადაც მოხსენებით გამოვიდა შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ენდოკრინოლოგიის მიმართულების პროფესორი **დავით მეტრეველი.** კონფერენციას ესწრებოდა თსსუ-ის რექტორის მოადგილე **გიორგი აბესაძე,** არასამთავრობო ორგანიზაცია - **„საქართველოს ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაციის“** წევრები და თსსუ-ის სტუდენტები. სემინარი კითხვა-პასუხის რეჟიმში დასრულდა.

სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კულმინაცია იყო 15 ნოემბერს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით გამართული სტუდენტური კონცერტი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ქართველი და უცხოელი მონაწილეები.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, მილოცვასთან ერთად, მადლობა გადაუხადა კვირეულის ორგანიზატორებსა და პროექტებში ჩართულ სტუდენტებს. საქართველოს სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა **ვახტანგ ასანიძემ,** გამოსვლაში ისაუბრა ღონისძიების მნიშვნელობაზე და სტუდენტური თვითმმართველობის როლზე გაამახვილა ყურადღება.

საღამოს ესწრებოდნენ თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **კახაბერ ჭელიძე**, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები.

როგორც თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **კახა აბულაძემ,** აღნიშნა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები მუდამ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტურ ცხოვრებაში; მან მადლობა გადაუხადა მონაწილეებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მხარდაჭერისათვის. კვირეულის ფარგლებში, ტრადიციულად მოეწყო შეჯიბრი ინტელექტუალურ თამაშში - **„რა? სად? როდის?“,** რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა გუნდმა.

კვირეულის ბოლო დღეს, დასკვნით ნაწილში, სტუდენტებმა თსსუ-ის თეატრალური დასის – „ჰიგიას“ ორგანიზებით უნივერსიტეტის ეზოში დადგეს წარმოდგენა. კერძოდ, სიმბოლურად შექმნილი „მშვიდობის ლოგოს“ ირგვლივ ცოცხალი კედელი აღმართეს და გაუშვეს ცის მანათობლები.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა კვლავ აგრძელებს სხვადასხვა პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებას. შესაბამისად წინ მრავალი საინტერესო პროექტი გველოდება.

**ნინო შაშიაშვილი,**
მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი

# ამჯერად – საერთაშორისო მასშტაბით

შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა: ყოველ შემოდგომას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იმართება კონფერენცია ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. წელს, 8-10 ნოემბერს, უკვე რიგით VI კონფერენცია ჩატარდა. თითქოსდა ყოველ წელს მსგავსი ხასიათი აქვს ამ ღონისძიებას, ორგანიზატორები – **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება, ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვის ასოციაცია, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია, ფონდი „სიჯანსაღე”;** საორგანიზაციო **კომიტეტის თავმჯდომარე: პროფესორი ყარამან ფაღავა, აღნიშნული კომიტეტის წევრები, დარგის საჩინო წარმომადგენლები, უპირატესად სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლები და სპონსორები** (ფირმები: **„ავერსი”, „სანოფი”, „ჰუმანა”, „ფრისო”, „ჯიპისი”, „ასტელა”, „ნატუროპათი”, „სვისდოქტორი”, „სტადა”.);** მოხსენებები, უპირატესად – პრაქტიკოსი ექიმებისთვის გამიზნული, მოხსენებები, ფრიად მრავალფეროვანი – კავასაკის დაავადება, სიმსუქნე და მე-2 ტიპის დიაბეტი მოზარდებში, ნეფროკალცინოზი ახალშობილებში, ანტირეფლუქსური ნარევის „ჰუმანა აერის” ახალი ჩვენებები, ცეფალოსპორინების გამოყენების დიფერენციული მიდგომები, პნევმოკოკური ინფექციების მართვის თანამედროვე ასპექტები, რკინადეფიციტური ანემია, ახალშობილთა თანდაყოლილი ინფექციები, ცხელების მართვა, ხველის მართვა, ანტიჰომოტოქსიური თერაპიის სიახლეები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ალერგიული დაავადებები, პრო და პრე-ბიოტიკების ჩვენებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ენდოსკოპია. ეს მოკლე ჩამონათვალიც მეტყველებს კონფერენციის მნიშვნელობაზე ზოგადი პრაქტიკის ექიმების, ნეონატოლოგებისა და ნებისმიერი სპეციალობის პედიატრების დახელოვნებისთვის, პროფესიული დონის ამაღლებისთვის. მომხსენებლები – ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები – **ი. ფავლენიშვილი, მ. ხოჭავა, ლ. ჟორჟოლიანი, რ. ქარსელაძე, ნ. უბერი, მ. კვეზერელი-კოპაძე, მ. ბუაძე, თ. გოთუა, მ. ხერხეულიძე, ი. კორინთელი, რ. მაზმანიშვილი, ი. ფაღავა, ყ. ფაღავა.** გამოვიდა შრომათა კრებული – ყველა წარმოდგენილი პრეზენტაციის შემცველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე ჩვეული გახდა, მაგრამ ისიც ტრადიციად იქცა, რომ ყოველ წელს გარკვეული სიახლეები გვაქვს. არც სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – **„ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა – VI”** გახლდათ გამონაკლისი. პირველი სიახლე ის იყო, რომ იგი საერთაშორისო მონაწილეობით განხორციელდა: მოხსენება წარმოადგინა რუსეთის განათლების აკადემიის აკადემიკოსმა, ასაკობრივი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **მ. ეზრუკიხიმ**; სამი მოხსენება წაიკითხა ბონის უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკისა და გერმანიის ბავშვთა ნუტრიციოლოგიის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა, ამჟამად პროფესორმა **ემერიტუსმა** და, ამავე დროს, ჩვენი უნივერსიტეტის სტუმარმა – პროფესორმა **მ. ლენტცემ** (25 ნოემბერს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მას საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა).

თავისებურება გახლდათ ისიც, რომ წელს კონფერენციის ფარგლებში ერთ-ერთი სხდომა ვიწროსპეციალიზებული იყო – მთლიანად ბავშვთა გასტროენტეროლოგიასა და ნუტრიციოლოგიას მიეძღვნა. ეს გარკვეულ ანონსადაც შეიძლება იყოს შეფასებული – უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში პროფესორ მ. ლენტცეს, ევროპის პედიატრიული ნუტრიციოლოგიის, გასტროენტეროლოგიისა და ჰეპატოლოგიის ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის მხარდაჭერით ხომ შესაბამისი ცენტრის გახსნაა დაგეგმილი.

პრაქტიკულ მედიცინაზე აქცენტი უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ ვინაიდან ღონისძიება უნივერსიტეტის ეგიდით იმართებოდა, უპრიანად ჩავთვალეთ ერთი სექციისთვის ერთობ პრეტენზიული სახელი მიგვენიჭებინა – **„აკადემიური კითხვანი”**. თემატიკა – არამკაფიო ლოგიკა პედიატრიაში, პედიატრიაში რეზიდენტურის სიახლეები, როგორ უნდა იწერებოდეს სამეცნიერო სტატია – საერთაშორისო მოთხოვნები, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის ადგილი ექიმთა და პედაგოგთა პროფესიულ მომზადებასა და სამეცნიერო კვლევაში, მედიცინის პარადიგმის ევოლუცია, ბავშვთა და მოზარდთა პრევენციულ-სარეაბილიტაციო კონტინუუმის მოდელი. გარდა პედიატრებისა, პრეზენტაციები წარმოდგენილ იქნა ფიზიოლოგის, აკადემიკოს **მ. ბეზრუკიხისა** და მათემატიკოსის, პროფესორ **ტ. კისელიოვას** მიერ.

როგორც ამბობენ, დიდი გზებიც მცირე ნაბიჯებით იწყება. ექვსი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ვიმედოვნებთ, პროცესს პერმანენტული ხასიათი ექნება.

პროფესორი
**ყარამან ფაღავა**

*ახალი სახელმძღვანელო*

# პირველად საქართველოში...

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებო, რეზიდენტებო, ექიმო სტომატოლოგებო, დერმატოლოგებო, ოტორინოლარინგოლოგებო, და, საერთოდ, ექიმებო! თქვენი პროფესიული დახელოვნების, პროფესიული საქმიანობის თანამედროვეობის შესატყვის დონეზე წარსამართად უდიდეს დახმარებას გაგიწევთ ახლახან გამოცემული უნიკალური სახელმძღვანელო – **„პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები**”, რომელშიც წარმოდგენილია ამ სახის 100-ზე მეტი დაავადება თავისი გავრცელების არეალით, ეტიოლოგიით, მორფოლოგიით, ლოკალიზაციით, კლინიკით, დიაგნოსტიკით, დიფერენციული დიაგნოსტიკით, მკურნალობით და პროფილაქტიკით. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის 500-ზე მეტი ნოზოლოგიიდან აღნიშნული სახელმძღვანელოსთვის შეირჩა ის დაავადებები, რომელთა შესწავლა განსაზღვრულია თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის **პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის** სამუშაო გეგმით (სილაბუსით).





წიგნში წარმოდგენილი 305 ფერადი ფოტოს დიდი უმრავლესობა ავტორთა საკუთარი კლინიკური მასალაა, ნაშრომი კი მთლიანად ეფუძნება მათ მრავალწლიან სამკურნალო- პრაქტიკულ მოღვაწეობას. სახელმძღვანელო 18 თავადაა დაყოფილი. დაწერილია არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ უბრალო მკითხველისთვისაც გასაგები, დახვეწილი ქართულით. მაღალხარისხიანმა ფოტოილუსტრაციებმა განუმეორებელი ელფერი და უნიკალობა შესძინა სახელმძღვანელოს.

ჭეშმარიტად ფასდაუდებელია წიგნის ავტორების თსსუ-ის სრული პროფესორის – **მანანა ივერიელის,** ასოცირებული პროფესორის – **ნინო აბაშიძის**, ასისტენტ-პროფესორის – **ხატია გოგიშვილის** და დოქტორანტის – **ნინო გოგებაშვილის** ესოდენ დიდი გარჯა მაღალპოლიგრაფიული და ყოვლისმომცველი, ღირებული სახელმძღვანელოს გამოცემისთვის.

ღირსეული ჯილდო

# მნიშვნელობით ეროვნული და საერთაშორისო

*მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ყოველწლიური სახელმწიფო პრემია ენიჭებათ გამორჩეულ მეცნიერებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყანაში მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარების საქმეში. სულ ახლახან,* ***ზაზა ფანასკერტელის აკადემიური სახელობითი პრემია მიენიჭა და ლაურეატის დიპლომი გადაეცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის და ბოიეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რამაზ შენგელიას,*** *რომლის წვლილიც, უდავოდ, დიდია უძველესი, ძველი, ახალი და უახლესი ქართული მედიცინის ისტორიის საკითხების, ასევე, ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების, ხელნაწერების კვლევის თუ გამოცემის და სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში.*


«საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია»
ლაურეატის
დიპლომი
ეძღვნება
მედ. მეცნ. დოქტორს
რამაზ შენგელიას
დასტურად იმისა, რომ ნაშრომთა ციკლისათვის
«მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია
(წიგნი I, ძველი აღმოსავლეთი)» (2009 წ.)
«CAUCASIAN LONGEVITY AND
GEORGIAN TRADITIONAL MEDICINE» (2010 წ.)
«ბიოსამედიცინო ეთიკა» (2011 წ.)
«მედიცინა და ზოგადი თეორია (წიგნი I-II,
ძველი აღმოსავლეთი, დასავლეთის სამედიცინო ტრადიციები)» (2012 წ.)
მას მიენიჭა
ზაზა ფანასკერტელის
აკადემიური სახელობითი
პრემია
გიორგი კვესიტაძე
თბილისი, 2013 წლის 23 ოქტომბერი

*ვულოცავთ ბატონ რამაზს ღირსეულ ჯილდოს და სამომავლო წარმატებებს ვუსურვებთ!*

*ორიოდე თვის წინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეიქმნა საქართველოს (კავკასიის) გენოფონდის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც სათავეში თვით აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი* ***გიორგი კვესიტაძე*** *ჩაუდგა, ხოლო სწავლულ მდივნად პროფესორი* ***რამაზ შენგელია*** *იქნა დასახელებული. ამ მულტი და ტრანსდისციპლინურ პრობლემას მეტად ფრთხილი და ფართო თვალსაწიერით მიდგომა ჭირდება. მასზე მუშაობაში ორ ათეულამდე დარგი და სპეციალობა ჩაერთვება, მათი განვითარების ახალი პერსპექტივები შეიქმნება. ეს არის: თავად გენეტიკა, ანთროპოლოგია თავისი უამრავი განხრით, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია ენათმეცნიერება, დემოგრაფია, მედიცინა, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და სხვა...*

*ყოველივე ამასთან დაკავშირებით მკითხველს პროფესორ რამაზ შენგელიასთან ინტერვიუს ვთავაზობთ.*

**– ჩვენი ერის ისტორიაში არაერთი პასუხგაუცემელი კითხვაა, რომელთა ძირითადი ნაწილი ქართველი ხალხის და მთლიანად კავკასიის მოსახლეობის გენეზისს, საისტორიო ტრადიციაში დამკვიდრებული წარმოდგენის რეალობას ეხება.**

– ბოლო ათეული წლების განმავლობაში უაღრესად სწრაფი ტემპით განვითარებულმა გენეტიკურმა კვლევებმა, სიკეთე-უკეთურობასთან ერთად, მოიტანა დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ გარკვეული წესრიგი შეიტანოს „დიდ ქაოსში" და ძირითადად სწორი პასუხი გასცეს ათას კითხვას. აქვე ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს: გენეტიკური კვლევების შედეგი ჯერ კიდევ არ არის ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება.

დედამიწის მთელი მოსახლეობა ერთი წყვილიდანაა წარმოშობილი და მრავალი ათასწლეულის მანძილზე, სხვადასხვა მუტაციის წყალობით, რასაც თან დაერთო მიგრაციები, ომები, ბუნებრივი კატასტროფები, მოხდა რასების, ეთნოსების, ეთნიკური ჯგუფების, ინდივიდუალური ფორმების წარმოქმნა; უნდა ითქვას, რომ ყველა ისტორიული ეტაპისთვის ერთნაირად განსაზღვრული საერთო „ეროვნული" გენები არ არსებობს. ასე ვთქვათ, ქართული, ფრანგული, სომხური თუ რუსული გენი, რომელიც შეუმცდარად დაადასტურებს ინდივიდის ეთნიკურ წარმომავლობას, არ შეიძლება არსებობდეს. შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე ამა თუ იმ პოპულაციიათვის დამახასიათებელ გენოფონდზე, ანუ მის სპექტრულ შემადგენლობაზე. ბუნებრივია, რომ მხოლოდ თანამედროვე პოპულაციების შესწავლა თუ შეიძლება ასეთი დიდი მასშტაბით. არქეოლოგიური ბიომასალის შეზღუდული რაოდენობის გულდასმით კვლევა საფუძველს მოგვცემს გავარკვიოთ თანამედროვე და ძველი გენეტიკური მონაცემების კორელაციის საკითხი, მათი ლოგიკური უწყვეტობა, ან პირიქით, – წყვეტა დავინახოთ და ვისაუბროთ ჰუმანურ კატასტროფებსა და გლობალურ ცვლილებებზე.

**– მხოლოდ გენეტიკური კვლევით შემოფარგვლა, რაოდენ ზუსტი და დახვეწილი არ უნდა იყოს ის, აბსოლუტურად სწორ შედეგს ვერ მოგვცემს და საბოლოო პასუხი ბევრ კითხვაზე ვერ გაიცემა.**

– ერის გენოფონდის შესწავლა ისტორიულ, ანთროპოლოგიურ, დემოგრაფიულ, სამედიცინო, გეოგრაფიულ, ეკოლოგიურ და სხვა მონაცემთა შეჯერებით უნდა მოხდეს. აღნიშნული კვლევები ჭეშმარიტად ტრანს და მულტიდისციპლინურია. მისი სწორად და ეტაპობრივად წარმართვა გამოიწვევს ზემოაღნიშნული დარგებისადმი მოთხოვნილების გაზრდას და სათანადო განვითარებას უახლოეს პერსპექტივაში.

გენეტიკური კოდის „გადაწერა" თაობიდან თაობაზე ხდებოდა ათასეული წლების განმავლობაში და, ბუნებრივია, ამ დროს, „იპარებოდა შეცდომები", რამაც საბოლოოდ მთელი ადამიანური გენეტიკის მრავალფეროვნება მოგვცა – „ერთნაირი შეცდომების" მქონე ინდივიდები ჰაპლოტიპებში გენეტიკურ ხაზებად, ლინიჯებად, გაერთიანდნენ, მონათესავე ხაზები – ჰაპლოჯგუფებად, კლეიდებად. საბოლოოდ იქმნება გენიალოგიური ხის მსგავსი გრაფიკული კონფიგურაცია, სადაც სახელების ნაცვლად, მეტაციები (გადაწერის „შეცდომები") იწერება. ეს არის იგივე გენეტიკური ნიშნები, „გენეტიკური მარკერები", მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვრება მათი ასაკიც. პოპულაციური გენეტიკური კვლევების შედეგად დგინდება როგორც მოსახლეობის გენოფონდის ერთიანი სურათი, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების ცვალებადობის დინამიკა და ნაირგვარობის ხარისხი.

ათასწლეულები დასჭირდა, რათა კაცობრიობას დღევანდელი გენეტიკური სახე მიეღო. ამ გენეტიკურ ნაირგვარობას აუტოსომებში მომხდარი ცვლილებები განაპირობებს, ხოლო Y ქრომოსომასა და მიტოქონდრიულ დნმ-ში სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში გაჩენილი მუტაციები ამ ცვლილებების „კალენდარს" ჰქმნიან. ისინი, როგორც ასაკობრივი რგოლები გადაჭრილ ხეზე, ატარებენ ამ ცვლილებათა ქრონოლოგიის ინფორმაციას. ამ მხრივ, მეტად გამოსადეგია Y ქრომოსომისა და მტდნმ-ის კვლევა, რადგან ისინი, როგორც ცნობილია, რეკომბინაციას არ განიცდიან და მამობრივი და დედობრივი ხაზის ჰაპლოჯგუფების ჩამოყალიბებაც სწორედ მათი მიხედვით ხდება. უფრო მეტად Y დნმ-ის კვლევა წარმოებს.

**– როგორც ვიცით, აშშ-ის გეოგრაფიული საზოგადოების პროექტი, რომელიც მთელი მსოფლიოს გენოგეოგრაფიის შესწავლის მიზნით შეიქმნა, საქართველოს ჩართულობას არ გულისხმობს. რა კეთდება ჩვენთან ერის გენეტიკური თვალსაზრისით შესწავლის მიზნით?**

– ქართველების გენეტიკური შესწავლა, ერთის მხრივ, მეტად საინტერესო, გლობალური მასშტაბის სამეცნიერო ღირებულების მატარებელია და, მეორე მხრივ, ფაქიზი და ფრთილად განსახილველი თემაა.

დღემდე გავრცელებული ორი თეზა ქართველების უაღრესად გენეტიკური სიწმინდისა და, პირიქით, ე.წ. ნარევი ერის შესახებ, შეიძლება ცალსახად უარვყოთ. თუმცა, ერთი ან მეორე მიმართულებით გარკვეულ ასპექტში, გარკვეული ტენდენციების, პროცესების არსებობა მომავალი კვლევისას დიდი ალბათობით დამტკიცდება. შარშან ჩვენი და პენსილვანიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით შედგა ერთობლივი ექსპედიცია სვანეთის პოპულაციის კომპლექსური შესწავლის მიზნით. შევისწავლეთ 200-მდე ინდივიდი და შედეგები მეტად საინტერესოა.

ყველასთვის ნათელია ამ საკითხის უაღრესად მაღალი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საქართველოს მოსახლეობის ამ მიმართულებით სათანადო შეუსწავლელობა და ამ ინფორმაციის მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისთვის არამისაწვდომობა განაპირობებს ქართული ეთნოსის იგნორირების დღევანდელი მდგომარეობის სამეცნიერო ტრადიციად დამკვიდრების პროცესს.

საქართველოში გენეტიკური კვლევების ჩატარება გადაუდებელი საქმეა. ამისთვის საჭიროა ავტორიტეტული მაკოორდინებელი ორგანიზაცია, საუკეთესი სპეციალისტების მობილიზება, დაფინანსების მოძიება და სახელმწიფო ნების დაფიქსირებაც. ასეთი კი მენიერებათა აკადემიაა...

*ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიური საბჭოს სხდომა შედგა, სადაც მოხსენება გააკეთა პროფესორმა* ***რამაზ შენგელიამ****. დაისახა უახლოესი წლების გეგმა, გაიწერა სამუშაოები, რომელიც გულისხმობს აპარატურისა და აქსესუარების შევსებას, უკვე არსებული კვლევების მოძიებას, მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნასა და ადამიანური რესურსების სათანადოდ განსწავლის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.*

*სამუშაო მეტად მოცულობითი და შრომატევადია, ხოლო მნიშვნელობით – გლობალურია ქვეყნისთვისაც და სხვისთვისაც...*

# უძველესი კოლხურ-იბერიული და ჰომეოპათიური მედიცინის უნიკალობა



*ბუნების გულუხვ შემოთავაზებას ჩვენი წინაპარი მუდამ დიდი ყურადღებით სწავლობდა, აკვირდებოდა, სისტემაში მოჰყავდა და ავითარებდა, შემდეგ კი ადამიანისთვის „სალბუნად" აქცევდა... ამიტომაცაა, რომ ბევრმა მათგანმა დროის მკაცრ და რთულ გამოცდას გაუძლო და უტყუარ, სანდო სამკურნალო საშუალებად იქცა.*

*თანამედროვე ეკოლოგიური სისტემების რღვევით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ჩვენს ორგანიზმს განუსაზღვრელ ზიანს აყენებს, უსაფრთხო, უვნებელი მედიკამენტების გამოყენებით კი შესაძლებელია, როგორც დაავადებისგან დაცვა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, ასევე, მაღალეფექტური შედეგის მიღწევაც.*

*დღეს, როცა მაღალი კონკურენციის პირობებში ბიოლოგიურ მედიცინაში მოვლენები სწრაფად ვითარდება და მკურნალობის არაერთი მეთოდი თუ მიმართულება ექცევა ყურადღების ცენტრში, ადვილი როდია სწორი არჩევანის გაკეთება.*

*აღმოჩნდა, რომ თურმე, უძველეს კოლხურ-იბერიულ და ჰომეოპათიური მედიცინის შეთანწყობას უნიკალური სამკურნალო შედეგების მოტანა შეუძლია. ეს ჰარმონიული „თანაარსებობა" იმითაცაა განპირობებული, რომ ჰომეოპათია ნატურალური მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მიმართულებად გვევლინება, რომლის გამოყენების არეალი თანდათან ფართოვდება, უმეტესწილად, განმაცვიფრებული შედეგებით.*

*ამიტომ გადავწყვიტეთ ცნობილ ექიმ-ჰომეოპათს, „ნეო-კლინიკის" კლინიკურ დირექტორს სამეცნიერო დარგში, ბატონ* ***კახა საბახტარიშვილს****, შევხვედროდით და ამ მეტად საინტერესო თემაზე გვესაუბრა.*

**– სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას აქტიური სამეცნიერო საქმიანობით გამოირჩეოდით; კარგად გვახსოვს თქვენი, როგორც წარჩინებული სტუდენტის, როლი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მერე ექიმი-ნევროლოგი გახდით, თუმცა საბოლოოდ პროფესია შეიცვალეთ და სხვა მიმართულებით გადაერთეთ...**

– სწორედ სტუდენტური წლებიდან გამომყვა მეცნიერების სიყვარული. თავიდანვე მედიცინის ისტორიით დავინტერესდი. 30 წელია ქართული მედიცინის ისტორიის საკითხებს ვსწავლობ. წესად მექცა, უძველესი „ფოლიანტების" – სამედიცინო წიგნების, „კარაბადინების" ქექვა. ჩვენ ნამდვილად მდიდარი მემკვიდრეობა გვერგო – ეს წიგნები ძველქართული, ასევე, აღმოსავლური თუ დასავლური მედიცინის ბრწყინვალე ნაზავია, ამიტომ მათი კვლევა განსაკუთრებულ მიდგომას, ცოდნას და ჩაღრმავებას მოითხოვს. ამასთან, ექიმად მუშაობისას თანდათან დავრწმუნდი, რომ მედიკოსისთვის უმთავრესი პრინციპი – არ ავნო – განსაკუთრებულად ჰომეოპათიაშია განხორციელებადი..

**– მედიცინაში უკვე ნაკლებად მიმართავენ ხშირი ინტენსივობის ქიმიური პრეპარატებს. ჰომეოპათია, ამ მხრივ, წამყვან პოზიციაზეა, რადგანაც მას განიხილავენ, როგორც მარტივ, უსაფრთხო, პაციენტზე ორიენტირებულ მკურნალობას.**

– ამასთან, ჰომეოპათია მაღალი კლინიკური შედეგებითაც გამოირჩევა და წარმატებით გამოიყენება მთელი რიგი დაავადების სამკურნალოდ. იგი, სწორედ, წარსულის გამოცდილების და ახლის ძიების ნაყოფია. აქ ნამდვილად აქვს აზრი ახალ ექსპერიმენტებს.

საინტერესოა ითქვას, რომ წინა საუკუნის ამერიკის ჰომეოპათიური ჟურნალის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, თავის დროზე, შვეიცარიაში ძალზე იშვიათად აღინიშნებოდა „ესპანურათი" (ესპანური „თეთრი ჭირით", „ისპანკით") გამოწვეული სიკვდილიანობა მაშინ, როცა ამ დაავადებამ 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა მთელ მსოფლიოში. საქმე იმაშია, რომ იმ დროს, შვეიცარიაში, ამ დაავადებას ჰომეოპათიური საშუალებების გამოყენებით ებრძოდნენ და, როგორც ჩანს, საკმაოდ ეფექტურადაც.

**– ბევრს საუბრობენ თქვენ მიერ შექმნილ და დანერგილ წამლებზე, რომლებმაც ალბათ ნამდვილად ღირსეულად მოიპოვეს სათანადო აღიარება არა მხოლოდ პაციენტებში...**

მაღალი კლასის ჰომეოპათი ღრმად უნდა ფლობდეს კლასიკურ მედიცინას. ნებისმიერი მეთოდი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაინერგოს, როდესაც ის ათასჯერ მაინც იქნება შემოწმებული და დადასტურებული.

ჰომეოპათიის და ძველქართული მედიცინის სინთეზმა საშუალება მოგვცა, შეგვექმნა არაერთი ეფექტური სამკურნალწამლო საშუალება; ათი წელი ვმუშაობდით **„გულის ელექსირზე"**, რომელიც ჰომეოპათიური ტექნოლოგიის გამოყენებით მივიღეთ. იგი სხვა მცენარეულ ნაყენებზე მაღალეფექტური აღმოჩნდა; ესაა გულის სისხლძარღვთა გამაფართოებელი, სპაზმის მომხსნელი, არითმიის საწინააღმდეგო, არტერიული წნევის დამარეგულირებელი საშუალება; მაღალ ეფექტურობასთან ერთად, უვნებელიცაა, ბევრჯერ ძვირადღირებულ პრეპარატებსაც ცვლის; ამასთან, აუმჯობესებს სასუნთქი სისტემის მუშაობასაც. ერთი სიტყვით, არის თითქმის სამსაუკუნოვანი ჰომეოპათიური მედიცინის კანონების და ტექნოლოგიის მიხედვით დამუშავებული ბუნებრივი საგულე საშუალება. ასევე, ჩვენ მიერვე შექმნილი **„მამოსილი"**, რომელიც დიდი წარმატებით გამოიყენება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ანტიტოქსიური, ჰორმონთა ცვლის მარეგულირებელი სამკურნალო საშუალება.

ბევრი შეიძლება ისაუბრო ჩვენი ჯგუფის მიერ შექმნილ ანტივირუსულ მედიკამენტზე – **„გრიპისი საბა"**, რომელიც, უკვე კარგად გამოცდილი და პრაქტიკაში დანერგილი წამალია, იგი არა თუ ამსუბუქებს გრიპის სიმპტომებს, არამედ, ეფექტურად მოქმედებს ე.წ. ღორის გრიპის ვირუსზეც, კომპლექსურ მკურნალობაში აძლიერებს იმუნიტეტს, ებრძვის რესპირატორულ დაავადებებს და მათ გართულებებს, არის მაღალეფექტური სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალება, ზოგადად, გრიპის ეპიდემიის დროს.

**– ვრცელია ნუსხა იმ დაავადებებისა, რომლებიც წარმატებით იკურნება თქვენ მიერ შემუშავებული წამლების მეშვეობით, ამასთან, ალბათ, არ იქნება უცხო ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების მოგვარების, ანუ უმძიმესი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილიც...**

– არაფრით არ შეიძლება კლასიკური მედიცინისა და ჰომეოპათიის დაპირისპირება; ვიტყვი, რომ, შესაძლებელია, ჰომეოპათია ვერ ახდენს, სასწაულებს, მაგრამ ხშირად, როცა კლასიკური მედიცინა უძლურია, საკმაოდ მაღალია ჰომეოპათიური მკურნალობის ეფექტურობა, რაც დადასტურებულია კიდეც არაერთი მედიკოსის მიერ მიღებული სამკურნალო შედეგით. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იყვნენ და ამჟამადაც არიან მეცნიერულ დონეზე მოაზროვნე მკურნალები, რომლებმაც ცდებით და დაკვირვებებით შეძლეს დაემარცხებინათ არაერთი მძიმე დაავადება, სწორედ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით და საკუთარი დაკვირვებების შედეგად, არაერთმა მიმდევარმა თუ მაძიებელმა, წარმატებას და საუკეთესო შედეგებს მიაღწია; ამიტომ არასოდეს უნდა დაკარგო რწმენა იმისა, რომ დაუღალავ შრომას, მუდმივ ძიებას, ბრძოლას და პაციენტისთვის თავგანწირვას იმ მნიშვნელოვანი წარმატების მოტანა შეუძლია, მიზნის მიღწევა რომ ჰქვია...

გვერდი მოამზადა
**დარეჯან კომლაძემ**

სამედიცინო გაზეთი

# გზა კაცისა მართლისა...

*„ვითარცა ხე, დანერგილი თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ...“*

***ფსალმუნი, კანონი პირველი***

კარი ფართოდ იყო ღია... იქვე, სკამებზე, ჩამოვსხედით... უნებურად თვალი რესპონდენტისკენ გაგვექცა. დავეჭვდით, გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ – როგორ არის 80 წლის?!.. ისევ ისეთი იყო, როგორიც 30 წლის წინ, როცა პირველად ვნახეთ. წამიერად შევნიშნეთ, რომ ღიმილნარევად მოსაუბრემ პირჯვარი გადაიწერა... ადრესატები თვალსაწიერის მიღმა იყვნენ, მხოლოდ საუბარი ისმოდა ყრუდ... კარებთან სამიოდე წუთი დავყავით, რადგან იგი სხარტად ადგა და ჩვენკენ გამოემართა, მოწიწებით ჩამოგვართვა ხელი, შეგვიპატიჟა, ბოდიში მოგვიხადა დაყოვნებისთვის, ბოდიშით გაისტუმრა ისინიც... მასთან შეხება არასოდეს გვქონია, ვიცნობდით შორიდან... ალღომ გვიმტყუნა... ჩვენი განჭვრეტით: თითქოს პირქუში, არაკომუნიკაბელური, მკაცრი პიროვნების ნაცვლად გვესაუბრებოდა საოცრად ენაწყლიანი, თბილი, უშუალო, უბრალო, შესაშური ქართულით მოლაპარაკე ადამიანი, პროფესორი **პალიკო კინტრაია**, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კ. ჩაჩავას კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ადამიანური კუთხით გვინდოდა დაგვენახა ბატონი პალიკო, თორემ მისი ყოვლისმომცველი, სასიქადულო ღვაწლით და ბიოგრაფიით დიდი ხანია ვიცნობდით.

არა მარტო ჩვენს, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცნობილი გინეკოლოგის, ბატონი პალიკოს დაბადებას კურიოზი ახლდა... თურმე დედას, რომელიც მეუღლესთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, ბატონ პალიკოზე ფეხმძიმედ მყოფს, მშობლებისკენ გაუწია გულმა, ისინი გეგეჭკორის რაიონის (ამჟამინდელი მარტვილის) სოფელ აბედათში ცხოვრობდნენ... იდგა 1933 წლის 8 დეკემბერი, დედას მშობიარობა დაეწყო...

**„ისე დავიბადე, ბებიაქალმაც ვერ მომისწრო,“** – სიცილით გვითხრა ბატონმა პალიკომ, თან დასძინა – დაბადების დღის ხმაურიანად აღნიშვნა არ მიყვარსო. მცირეწონიანი ჩვილის გაზრდაზე ბებიას უზრუნია... ექიმობა დედის ხშირმა ავადმყოფობამ გადააწყვეტინა. დუხჭირი ცხოვრების გამო დედა ვერ მიჰყავდათ სამკურნალოდ, ამიტომაც დაისახა მიზნად გამხდარიყო ექიმი და ავადმყოფისთვის არასოდეს ფული არ გადაეხდევინებინა. აქამდე კი მას არაერთი ბარიერის გადალახვა დასჭირდა...

სკოლაში წარჩინებულს, მედლის კანდიდატს, კომკავშირის კომიტეტის მდივანს, მე-11 კლასში ყოფნისას, ზამთრის თვეში კლასელებთან ერთად „შატალოზე“ წასვლა მოუხდა, საბაბი საკლასო ოთახში ჩამტვრეული ფანჯრის მინა იყო. კიკვიძის ბაღში ისეირნეს... სკოლაში დიდი ამბავი ატყდა, მშობლებს გააგებინეს, რომლებმაც შვილები კიკვიძის ბაღიდან სასწრაფოდ სკოლაში დააბრუნეს. დირექტორმა მთელი პასუხისმგებლობა კომკავშირის კომიტეტის მდივანს დააკისრა და დაექადა – მედალს არ გაღირსებო. მუქარა შეუსრულა, რუსულში სამი დაუწერეს... სწორედ იმ წელს გამოიცა ბრძანება მედალოსნების უგამოცდოდ ჩარიცხვის თაობაზე, რის გამოც ბატონი პალიკო სამკურნალო ფაკულტეტის ნაცვლად (რადგან ეს ფაკულტეტი მედალოსნებით შეივსო), სტომატოლოგიურზე აღმოჩნდა. უარი არ თქვა, იმ იმედით, რომ თუ კარგად ისწავლიდა, სამკურნალოზე გადაიყვანდნენ. ლოდინში სამი წელი გაილია, მაგრამ უქმად არა, პარალელურად ფიზიოლოგიის კათედრაზე დადიოდა პროფესორ **დიმიტრი გედევანიშვილთან**. გეზი სწორედ ამ დარგისკენ ჰქონდა აღებული, პირი არ უჩანდა მისთვის სასურველ ფაკულტეტზე გადაყვანას, ამიტომ სწავლის მიტოვება გადაწყვიტა, რადგან მისთვის სტომატოლოგობა წარმოუდგენელი იყო.

იმ წელს სტომატოლოგიური ფაკულტეტი გააუქმეს, მან და კიდევ საშუალო მოსწრების სამმა სტუდენტმა აკადემიური შვებულება აიღეს. თვითონ, ეს ერთი წელი, ფიზიოლოგიის კათედრაზე დადიოდა. აკადემიურიდან დაბრუნებული სამკურნალო ფაკულტეტზე უნდა აღედგინათ, ის სამი სტუდენტი აღადგინეს, წარჩინებულ პალ-

## სახელოვანი იუბილარი



იკო კინტრაიას კი სანჰიგიენურ ფაკულტეტზე შესთავაზეს სწავლის გაგრძელება. რა თქმა უნდა, შემოთავაზება არ მიიღო და ინსტიტუტი დატოვა, რის შესახებაც გაიგო ბატონმა **დიმიტრი გედევანიშვილმა**, მიეჭრა დეკანს – როგორ თუ სამოსნები ჩარიცხეთ და ფრიადოსანი გარეთ დატოვეთო. იგი სასწრაფოდ აღადგინეს სამკურნალო ფაკულტეტზე.

ოცნება აიხდინა, მაგრამ კურსდამთავრებულს არ მიეცა საშუალება ფიზიოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში გაეგრძელებინა სწავლა, რადგან ამ კათედრაზე არ დაუშვეს ასპირანტის ადგილი. მაშინ კი, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, აუცილებელი იყო მუშაობის დაწყება, ამიტომ თიანეთში გაამწესეს გინეკოლოგად. ეს კი მართლაც კოშმარი იყო, არასოდეს უფიქრია გინეკოლოგობაზე, გეზი ფიზიოლოგიისკენ ჰქონდა აღებული, ექსპრომტად კი უწევდა ისეთი პროფესიის აღსრულება, რაზეც ბევრი არაფერი გაეგებოდა. **„სხვა გზა არ მქონდა, უნდა მემუშავა 3 წელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორდინატურაში სწავლის გაგრძელება გამორიცხული იყო. დღე და ღამეს ვასწორებდი მეცადინეობით, ბიბლიოთეკის გამგე მიგზავნიდა წიგნებს ავტობუსით. თიანეთში ერთი კვირის ჩასული გამომიძახეს მშობიარესთან. წარმოუდგენელია ჩემი განცდების აღწერა, მაგრამ უკან დახევა გამორიცხული იყო. მშობიარეს პლაცენტის მჭიდრო მიხორცება ჰქონდა. ბავშვის დაბადების შემდეგ პლაცენტა ნახევარ საათში უნდა მოცილებულიყო. მხოლოდ წიგნში მქონდა წაკითხული მოცილების პრაქტიკა. ამ შემთხვევაში ხელით მხოლოდ ერთხელ უნდა შეხვიდე, მე კი 20-ჯერ მაინც შევედი. დღესაც მახსოვს ამ ქალბატონის გვარი, შნაიდერი იყო, ებრაელი. გაჭირვებისას შიში და განცდები ქრება, როგორც იქნა პლაცენტა მოვაცილე. ახალდაბადებულის ნახვისას, მივხვდი, რომ ეს იყო ის საქმე, რომლისთვისაც უნდა მიმეძღვნა მთელი ჩემი ცხოვრება, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩემი გინეკოლოგობა“,** – გვეუბნება ბატონი პალიკო. თიანეთი გახდა მისთვის დიდი სკოლა შემდგომი წინსვლისა...

კარგი პროფესიონალი მუდმივად წიგნის კითხვის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მისი აზრით, წიგნს ვერაფერი შეცვლის. კომპიუტერი კარგია, მაგრამ წიგნს ვერ შეედრება, ამიტომაც იგი ახალგაზრდებს დღენიადაგ წიგნის კითხვისკენ მოუწოდებს.

ბატონ პალიკოს ბევრი აქვს მოსაგონარი. თბილად, თითქოს ეფერებაო, იხსენებს იმ ადამიანებს, ვისაც, თუნდაც ოდნავი ყურადღება გამოუჩენია მის მიმართ... ბევრი ისაუბრა პროფესორებზე: **დიმიტრი გედევანიშვილზე, გიორგი კვიტაშვილზე, ვახტანგ ბოჭორიშვილზე, მიხეილ წინამძღვრიშვილზე, ეგნატე ფიფიაზე, კოტე ჩაჩავაზე...**

სატკივარიც აქვს: ინფექციური საავადმყოფოს მოშლა, კათედრის ბაზის გაყიდვა, ექიმებზე ბევრი აუგის თქმა, რადგან მძიმე ავადმყოფს ექიმზე ახლობელი იმ დროს არავინ ჰყავს, ამიტომაც ექიმისადმი ბრალდება პაციენტის მიმართ უყურადღებობაზე დაუშვებლად მიაჩნია, **„ეს მომენტი გამორიცხულია, რაც შეეხება კვალიფიკაციის პრობლემას, სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯერ კიდევ არის,“** – ამბობს იგი. არ მოსწონს საკეისრო კვეთის სიხშირის მატება. განსაკუთრებულ შემთხვევაში იგი აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ბევრი მეანისთვის ეს ადვილია, ვიდრე მშობიარობის მიღება. მართალია, საკეისრო კვეთის ასეთი სიხშირე მეტწილად მშობიარეთა სურვილითაა გამოწვეული, ამიტომაც მთავარია მათი დარწმუნება ბუნებრივი მშობიარობის უპირატესობაზე.

ბატონი პალიკოს საწუხარია ქართული ენის დამახინჯებაც: **„რატომ უნდა ვთქვათ „გაიდლაინი“, როცა მისი შესატყვისი მოიძებნება ქართულ ენაში, ვამბობდით – „საკონფერენციო დარბაზი“, ახლა ვამბობთ – „ბრიფინგ-ჰოლი“, ან კიდევ: „პროტოკოლი“, და არა „მშობიარობის მართვის გეგმა“,** – გვეკითხება სინანულით ბატონი პალიკო. ალბათ იმიტომ, რომ მისი ჰობი ლიტერატურაა, განსაკუთრებით – ქართული. უზომოდ შეყვარებულია **ანა კალანდაძის** პოეზიაზე. მაგიდაზე, ლოცვების წიგნთან ერთად, ედო ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, რომლის ყოველ ნომერს კითხულობს.

ადამიანში, უწინარესად, კეთილსინდისიერებას აფასებს, ამას თვლის მთავარ ფაქტორად, ქცევის ნორმად, რადგან მიაჩნია, რომ სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიან ქვეყნის სიძლიერეს.

ბატონ პალიკოს უხარია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ყოფილი მე-8 საავადმყოფოს ბაზაზე, ექნება თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკა.

სიხარულით აღნიშნავს იმასაც, რომ კლინიკა, სადაც თვითონ მოღვაწეობს, კომფორტულადაა მოწყობილი. თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურითაა აღჭურვილი. ფუნქციობს სხვადასხვა სამედიცინო სამსახური, რასაც იგი დირექტორის, ბატონ **ელგუჯა გოცირიძის**, დამსახურებად მიიჩნევს.

ბატონი პალიკო ბედნიერი ოჯახის თავკაცია. ოთხი შვილიშვილის ბაბუაა. მეუღლე – ქალბატონი **ნუცა ჩხაიძე**, პედაგოგია, შვილები – **ნინო** და **ნიკოლოზი,** მამის კოლეგები არიან. ქალბატონი ნინო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნეონატოლოგია, ბატონი ნიკოლოზი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, თსსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია...

...ბატონმა პალიკომ ჯენტლმენურად გამოგვაცილა...

ახლა კი იმ ღვაწლზე, რაც გასწია პროფესორმა პალიკო კინტრაიამ ამ სასიქადულო საიუბილეო თარიღამდე:

1958-61 წლებში მუშაობდა თიანეთის რაისაავადმყოფოს სამეანო განყოფილების გამგედ;

1961-63 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურის კურსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე;

1963-66 წლებში მუშაობდა მარნეულის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად;

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – **„ნაყოფის ელექტრო-კარდიოგრამის ცვლილებები ვაკუუმ-ექსტრაქტორისა და სამეანო მაშების გამოყენებით“**;

1971 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – **„ნაყოფის თავის ტვინის ჰიპოთერმია მშობიარობის დროს“**;

1965-2006 წლებში მუშაობდა თბილისის ექიმთა დიპლომისშემდგომი მომზადების აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ;

1980-2002 წლებში – აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად;

1977-86 და 1997-2005 წლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად;

1997-2003 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარედ მეანობა-გინეკოლოგიაში;

1998-2005 წლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სასერთიფიკაციო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ მეანობა-გინეკოლოგიაში;

1983 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1985 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემია სამეანო-გინეკოლოგიური სეფსისის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომისთვის;

1998 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“;

1998 წელს აირჩა უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად;

1988 წელს – ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად;

1988 წელს – ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის უცხოელ წევრად, ასევე, არჩეულია რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის საბჭოს წევრად;

არის საქართველოს სამედიცინო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ნამდვილი წევრი;

2002 წლიდან არჩეულია რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრად;

2002 წლიდან დღემდე არის კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორ პალიკო კინტრაიას სამეცნიერო კვლევების ძირითადი ასპექტებია ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენება მეანობასა და გინეკოლოგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით; ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებათა პათოგენეზის, ნაყოფისა და ახალშობილის ადაპტაციის ცენტრალური სარეგულაციო მექანიზმების შესწავლა; ნაყოფისა და ტკივილის პრობლემა; გარემო ფაქტორების გავლენა ორსულობის მიმდინარეობასა და ნაყოფის განვითარებაზე; სტრესი და ორსულობა.

ბატონი პალიკოს მიერ, თანაავტორებთან ერთად, პირველად შემუშავდა მშობიარობის დროს ნაყოფის პირდაპირი ელექტრო-კარდიოგრაფიის (1961წ.) და ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდები (1968წ.);

შემუშავებულ იქნა მშობიარობის დროს ნაყოფის ფუნქციური მდგომარეობის შეფასების ელექტროფიზიოლოგიური კრიტერიუმები (1961-70 წ.წ.); დადგინდა, რომ მშობიარობის დროს ნაყოფს გააჩნია ტკივილის შეგრძნების ავტონომიური რეგულაციის უნარი და შემოღებულ იქნა ნაყოფის აუტოჰიბერნაციის ცნება;

მანვე, თანაავტორებთან ერთად, დაადგინა ნაყოფის ძილ-ღვიძილის ბიორითმების არსებობა და მასთან დაკავშირებული ნაყოფის გულის მოქმედების თავისებურებანი (1981 წ.); პირველად მსოფლიოში შეიქმნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური რუქა, იდენტიფიცირებულ იქნა 15 ნეიროპეპტიდი და დადგინდა, რომ ანტენატალური პერიოდის დასასრულს ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდერგული სისტემა იმყოფება ფუნქციური აქტივობის მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის შეგუებას ახალ პირობებთან. ასევე, თანაავტორებთან ერთად, პირველად იქნა შესწავლილი ნაყოფის ნეიროპეპტიდების როლი სამშობიარო მოქმედების აღძვრასა და რეგულაციაში.

პროფესორ პალიკო კინტრაიას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის – 14 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 40 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

სამეცნიერო პრობლემა, რომელზეც მუშაობს პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორ პალიკო კინტრაიას ხელმძღვანელობით, გახლავთ: სტრესი და ორსულობა; ორსულობის დრომდე მიუტანლობის პათოგენეზი და პათოგენეზური მკურნალობის მეთოდების შემუშავება.

**P.S. გილოცავთ, ბატონო პალიკო, ჩვენი ქვეყნის სამედიცინო პლეადის სახელოვანო წარმომადგენელო, პედაგოგიურ, სამეცნიერო, საექიმო წარმატებებით დახუნძლულ საიუბილეო თარიღს!**

**იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!**

დალი გაბეშია,
მანანა ფხალაძე

იუბილარი

# იყავით დღეგრძელი...

## დაბადებიდან 85-ე და მოღვაწეობის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად

თავის ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურება. იგი დღესაც, 85 წლის ასაკში, ჩვეული ენერგიით განაგრძობს საქმიანობას წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე ფარმაკოლოიდური საშუალებების კვლევის ცენტრში.

ბატონ **რობერტ ქარჩხაძის** დაბადების თარიღი 1928 წელია, ადგილი – ქუთაისი. 23 წლისამ, 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და საექიმო მოღვაწეობა დაიწყო დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. მახაჩკალის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1953 წლიდან საქმიანობას აგრძელებს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ ანტიტოქსიური შრატების წარმოების განყოფილების გამგედ. 1964 წელს, ქ. მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დიფტერიის და ტეტანუსის ანტიტოქსიური შრატების წარმოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ". 1964-66 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელია; 1966-2006 წლებში ამავე ლაბორატორიის ბიოქიმიის განყოფილების გამგეა.

ბატონ რობერტ ქარჩხაძეს, 1972 წელს, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება. 1990-2000 წლებში ზოგად ბიოლოგიაში ლექციებს კითხულობდა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის საბჭომ მიანიჭა პროფესორის წოდება.



თვალშისაცემია მისი მეცნიერული მოღვაწეობა. შესრულებული აქვს 81 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში. სისტემატურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და ყრილობებში. ბატონი რობერტის მეცნიერული კვლევების ძირითადი მიმართულებაა ანტიტოქსიური შრატები და ვაქცინები, გულსისხლძარღვთა სასუნთქი სისტემის, სეფსისის და ტრავმულ შოკთან დაკავშირებული საკითხები. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო ნაშრომი.

ბატონი რობერტი, პროფესიული საქმიანობის პარალელურად, ეპოქის შესატყვისად აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. პასუხისმგებელი პირი იყო კომკავშირული და კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებში.

2000 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ბატონ რობერტ ქარჩხაძეს გამოეცხადა მადლობა სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, მათ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, საექიმო-პრაქტიკული მოღვაწეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის!

გილოცავთ, ბატონო რობერტ, დაბადებიდან 85 და პროფესიული მოღვაწეობიდან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. თქვენი შემართებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებთ, კიდევ მრავალს გაუწევთ კონსულტაციას თქვენი გამოცდილებითა და გამობრძმედილობით.

იდღეგრძელეთ, არ მოგკლებოდეთ წარმატებები, ადამიანთა მადლიერება და სიყვარული!

დალი გაბეშია

სპორტული პრობლემები

# სპორტული მედიცინის ხელშესაწყობად



კარგად გვახსოვს თუ რა დიდი ყურადღება ეთმობოდა ჩვენში ახალგაზრდების ფიზიკურ მომზადებას სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში წარმატებების მისაღწევად. სამწუხაროდ, სავალდებულო ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შეწყვეტის შემდეგ, ბავშვების და მოზარდების დიდ ნაწილს უკვე აღარ აქვს ფიზიკური ვარჯიშისა და წვრთნის შესაძლებლობა, რის გამოც, მათი ორგანიზმი ჰიპოდინამიის, ანუ მოძრაობის მხრივ შეზღუდულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეს კი მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

დღეს სპორტული ბაზების და კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირე საშუალებას არ იძლევა, თანამედროვე დონეზე განვავითაროთ მასობრივი სპორტი, რათა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და პროფესიონალური სპორტისთვის საჭირო რეზერვის მომზადება მოხდეს. ყველაფერმა ამან, საერთო ჯამში, ხელი შეუწყო სადღეისოდ საქართველოში მასობრივი (გამაჯანსაღებელი) პროფესიული სპორტის თანამედროვე დონეზე განვითარების გარკვეულად ჩამორჩენას, რამაც განაპირობა ის, რომ უკანასკნელ წლებში ვეღარ ვახერხებთ საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი მიღწევების მოპოვებას სპორტის ნაციონალურ სახეობებში.

სამწუხაროდ, ქართულ სპორტს დღეს ერთი „სენი" სჭირს – ჩვენი სპორტსმენების არასათანადო ფიზიკური მომზადება, განსაკუთრებით კი, ფიზიკური თვისების – გამძლეობის არასასურველი დონე, რაც უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასპარეზობებზე მათი დაბალი კვალიფიციური გამოსვლებისა.

იმისთვის, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შესაბამისად წარიმართოს სპორტსმენთა ყოველმხრივი მომზადება, გარდა სწორად შერჩეული კონტიგენტისა, აუცილებელია ზრუნვა მწვრთნელთა ინსტიტუტზე. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ე.წ. აკადემია, რომელიც, ჭეშმარიტად, მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული, დაიხურა, ხოლო ილიას უნივერსიტეტში შექმნილი სპორტული ფაკულტეტი საჭირო სპორტული ბაზებისა და ლაბორატორიების გარეშე აღმოჩნდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მწვრთნელთა მომზადებაზე, რომელთა გარეშეც, როგორც მასობრივ-გამაჯანსაღებელი, ისე პროფესიული სპორტის, ასევე, სპორტის მეცნიერების, შემდგომი განვითარება არ მოხდება.

სპორტის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული სპორტულ მედიცინაზე, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სპორტსმენთა არა მარტო ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების შესწავლას, არამედ იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სპორტსმენთა წვრთნის, დასვენების, კვების, აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებისა და მიღებული შედეგების მეცნიერული შეფასების საქმეში. აღნიშნულთან ერთად, სპორტული მედიცინის სპეციალისტები, ექიმები ახორციელებენ სპორტსმენთა მკურნალობა-რეაბილიტაციას და, ასევე, პროფილაქტიკურ მუშაობას.

წარსულში ჩვენთან ფუნქციობდა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, რომელთაც ახლა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრები ეწოდებათ. დღეს ისინი მხოლოდ თბილისში ფუნქციობენ, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის მასშტაბით სპორტსმენთა სამედიცინო თვალსაზრისით უზრუნველყოფაზე.

აუცილებელია სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრების როგორც გაფართოება, ისე დიდ ქალაქებში მათი ჩამოყალიბება, ვინაიდან სპორტის განვითარება სპორტული მედიცინის გარეშე წარმოუდგენელია, ნებისმიერ სახეობაში წვრთნა ხომ სისტემატურ სპეციალურ სამედიცინო შემოწმებას მოითხოვს, რაც მხოლოდ სპორტული მედიცინის მეთოდებითაა შესაძლებელი. უკვე მრავალი ათეული წელია, რაც საქართველოში არ ხდება ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური განვითარების შესწავლა, ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა.

შემცირდა სპორტული მედიცინის კვალიფიციური მუშაკების რაოდენობა და გუნდებში მუშაობა დაიწყეს არასათანადოდ მომზადებულმა კადრებმა. ვერ ხერხდება კადრების სათანადოდ მომზადება, რაც უდაოდ, გასათვალისწინებელია ჯანდაცვისა და სპორტის სამინისტროების წარმომადგენლებისთვის.

სპორტულ მედიცინაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მაღალი კლასის სპორტსმენთა დინამიკაში კომპლექსური გამოკვლევა. სამწუხაროდ, რიგი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, არასათანადო პასუხისმგებლობით უდგება საექიმო შემოწმების საკითხს, გარკვეულ ფინანსური პრობლემების გამო; ეს ყველაფერი კი საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს სპორტულ მიღწევებზე.

სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი აკადემიკოს **მ. ხანანაშვილის** ახალი თეორია ადამიანის ორგანიზმის მეოთხე გარდამავალი მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ ცოცხალ ორგანიზმში განიხილება სამი მდგომარეობა – ჯანმრთელობის, დაავადებიანობისა და სიკვდილის მდგომარეობა. მრავალი ექსპერიმენტის საფუძველზე, ავტორის მიერ დადგენილ იქნა, რომ ცოცხალ ორგანიზმში ვითარდება ე.წ. მეოთხე გარდამავალი მდგომარეობა – ორგანიზმის ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის პერიოდი, რომლის დროსაც შესაძლებელია ორგანიზმში მოხდეს ფიზიოლოგიური პროცესების შეცვლა-დარღვევა (პირველ რიგში, ნერვულ სისტემაში), რაც კლინიკურად შეიძლება არც იქნეს გამოვლენილი. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ გარდამავალ მდგომარეობაში, ორგანიზმს, თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებით, აქვს უნარი, თვითონვე გამოასწოროს იგი, თუ შეექმნა სათანადო და აუცილებელი პირობები, რომლის დროსაც ორგანიზმი დაცული იქნება მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორის (ნერვულ-სტრესული გაღიზიანებები, შრომის და დასვენების რეჟიმის დარღვევა, არასათანადო კვება, არასწორი მედიკამენტოზური მკურნალობა და სხვა) მოქმედებისგან. სპორტსმენი სპორტული სეზონის პერიოდში არაერთხელ შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნულ მეოთხე გარდამავალ მდგომარეობაში, რაც სპორტის ექიმისა და მწვრთნელის მიერ ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ მდგომარეობის დროს ფარული დარღვევების დადგენა იოლი არ არის, მაგრამ ზოგიერთი ტესტის ჩატარების გზით შესაძლებელია დადგინდეს სპორტსმენის ფიზიკური მუშაობისუნარიანობის მოულოდნელი შეცვლა, განსაკუთრებით ფიზიკური დატვირთვის შემდეგ აღდგენის პერიოდის გახანგრძლივება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულად იქნეს გატარებული ყველა ის ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტსმენის ამ მდგომარეობიდან ადვილად გამოსვლას. ეს მაგალითი მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დაგვედასტურებინა თუ რა რთულია სამედიცინო პერსონალის მუშაობა სპორტულ მედიცინაში, რაც, უდაოდ, მოითხოვს სათანადო დახმარების, ამ დარგის სპეციალისტების კვალიფიციურ მომზადებას.

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემა, შეიძლება ითქვას, ჩვენთან საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. მართალია, ბოლო წლებში სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა სხვადასხვა სტილის ჭიდაობა, რაგბი და სხვა, მნიშვნელოვნად ამაღლდა სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების დონე, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი – ფსიქოლოგის, მწვრთნელის და ექიმის მუშაობის სიმბიოზი, პრაქტიკულ საქმიანობაში არ არის დამკვიდრებული.

სპორტსმენთა კვების საკითხი ერთ-ერთი რთული პრობლემაა თანამედროვე სპორტში. მართალია, სადღეისოდ ბევრი რამ არის ცნობილი, რა სახის კვებაა საჭირო სპორტული წვრთნის დროს წარმოებული კუნთური მუშაობის ენერგოხარჯისთვის და მის აღსადგენად; იგი ჯერ კიდევ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს; კვების პროდუქტების და მათი შემადგენელი ელემენტების სწორად შერჩევა, როგორც წვრთნის მიმართულებათა, ისე სპორტის ცალკეული სახეობის ფიზიკური დატვირთვების სპეციფიკის გათვალისწინებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კვების ისეთ ენერგეტიკული პროდუქტების, განსაკუთრებით საშეჯიბრო პერიოდში გამოყენებას, როგორიცაა ქიშმიში, ჩურჩხელა, სხვადასხვა ხილის ჩირი და სხვა, რითაც სპორტსმენების უზრუნველყოფა არ უნდა ითვლებოდეს პრობლემად, მაშინ, როდესაც ენერგეტიკული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, ამ პროდუქტებს შეუძლიათ დადებითად იმოქმედონ სპორტსმენთა შედეგებზე.

სპორტსმენთა ფიზიკური მუშაობისუნარიანობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც არ მიეკუთვნება დოპინგთა ჯგუფს, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გაგებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ანტიდოპინგური საქმიანობა პროფესორ **პ. კასრაძის** თაოსნობით, რაც ნამდვილად მისასალმებელია. სადღეისოდ შემოსულია ისეთი მატონიზირებელი პრეპარატები, რომელთა გამოყენება სპორტსმენებში მოითხოვს სპორტის ექიმის ამ საკითხებში უკეთესად გათვითცნობიერებას, რადგან ეს პრეპარატები ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს გადაღლა-გადაწვრთნის მკურნალობისა და პრევენციის მიზნით, რაც სპორტსმენს ხანგრძლივი დროით შეუნარჩუნებს სპორტულ მუშაობისუნარიანობას.

სადღეისოდ, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად სპორტულ მედიცინაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ითვლება, სადაც ფუნქციობენ სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი **ნ. ჭაბაშვილი**), ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი **ლ. მასხულია**), მაგრამ მათ არ გააჩნიათ კვლევითი მუშაობისთვის საჭირო პირობები; ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, აკადემიკოს **ო. ღუდუშაურისა** და პირადად ჩემი დიდი მოწადინებით, გამოყოფილი იყო 15 საწოლი, სადაც აღდგენითი მკურნალობა, რეაბილიტაცია, სხვა ავადმყოფებთან ერთად, სპორტსმენებსაც უტარდებოდათ. სამწუხაროდ, ერთ დღეს ამ კეთილმოწყობილი საავადმყოფოდან დაითხოვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა კლინიკური კადრი, მათ შორის, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრაც, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ამ კათედრის სასწავლო, სამეცნიერო მუშაობას. მისასალმებელია, რომ ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს, სამედიცინო უნივერსიტეტის ამჟამინდელი კლინიკის ახალ ხელმძღვანელობას (ხელმძღვანელი, პროფესორი **ა. იმედაძე**) გადაწყვეტილი აქვს თანამედროვე დონეზე მოაწყოს სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახური ამ საავადმყოფოში, რაც, ალბათ, განხორციელდება კიდეც რემონტის შემდეგ.

უდაო ფაქტია, რომ სპორტს და სპორტულ მედიცინას დახმარება ესაჭიროება სამეცნიერო მუშაობის თვალსაზრისით, როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე ჩვენი ქვეყნის სამედიცინო-ბიოლოგიური (ბიოქიმიური) სამეცნიერო ცენტრებისგან, რადგან სპორტის განვითარება და სპორტული მედიცინის თანამედროვე დონეზე მუშაობა წყვეტს არა მარტო სპორტსმენების მიერ მაღალი სპორტული შედეგების მოპოვების პრობლემას, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მასობრივი წესით გაჯანმრთელების საკითხის დადებითად გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება მოითხოვს დროს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, რაც ორგანიზაციული მუშაობის დაწყებას საჭიროებს, რადგან ხვალ უკვე გვიან იქნება. საქართველო იყო და აუცილებლად უნდა გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა სპორტის განვითარების თუ მიღწევების თვალსაზრისით.

რომანოზ სვანიშვილი,
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი,
სპორტული მედიცინის და კინეზოთერაპიის ფუძემდებელი საქართველოში**

სამედიცინო გაზეთი

დიდმკურნალები

# ნ ი კ ო   ჯ ა ნ დ ი ე რ ი

## ეძღვნება დაბადებიდან 140-ე წლისთავს

**ნიკო ჯანდიერი** დაიბადა 1873 წლის 24 ნოემბერს ზაქათალაში, თავად **ალექსანდრე ჯანდიერის** ოჯახში. მამა გახლდათ სიღნაღის საყარაულო ასეულის მეთაური ოფიცერი, რომელიც იმხანად ზაქათალაში იყო დისლოცირებული. დედა ადრე გარდაეცვალა. 1881 წელს ნიკო მიიღეს თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1894 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. მისი სურვილი იყო საექიმო ფაკულტეტზე განეგრძო სწავლა, მაგრამ ხელმოკლე ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. მან თხოვნით მიმართა სათავადაზნაურო ბანკის კრებას, რომელსაც **ილია ჭავჭავაძე** ხელმძღვანელობდა. როცა კრებაზე წაიკითხეს გიმნაზიის კურსდამთავრებული ნიკო ჯანდიერის განცხადება სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, წამოდგა ერთი გადაგვარებული თავადი და ასეთი რამე წამოროშა: „გიმნაზიის დიპლომი სრულიად საკმარისია, რომ რიგიანი სამსახური იშოვოს და ჩვენს საყვარელ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს ემსახუროსო. უნივერსიტეტში გაგზავნა საჭირო არ არის, რადგან იქ მეამბოხე რევოლუციონერებს და მეფის მოღალატე სტუდენტებს ზრდიანო”. სამწუხაროდ, ამ რუსეთუმე თავადს ბევრი მომხრე გამოუჩნდა და ახალგაზრდა ნიკოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება უიმედო ჩანდა. მოულოდნელად **ილია ჭავჭავაძე** გამოექომაგა ჯანდიერს: „ამ ყმაწვილის რევოლუციონერობისა ნუ შეგეშინებათ, ეს სენი ჩვენც მოგვიხდია. რაც შეეხება ამბოხებას, თუ ის შეძლებს სხვა ახალგაზრდებთან ერთად დახავსებული ადათ-წესების ამოძირკვას, ბარაქალა მას. ის თურმე ექიმობას აპირებს, რაც ჩვენ ხალხს ძალიან ჭირდება. წინადადება შემომაქვს ამ ახალგაზრდას ბანკმა თვეში 2 თუმანი გამოუყოს”. ილიას წინადადება ერთხმად მიიღეს – ნიკო ჯანდიერი ხარკოვს გაემგზავრა, სადაც 1894 წლის სექტემბერში ჩაირიცხა იქაური უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1899 წელს წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტს, სადაც ქირურგიის კათედრის დირექტორმა, პროფესორმა **ორლოვმა** დატოვა კლინიკაში. ნიკოს წინ დიდი პერსპექტივები იშლებოდა, მაგრამ მას სამშობლოსკენ მოუწევდა გული. სამწუხაროდ, თბილისის გუბერნატორი (რა თქმა უნდა, რუსი) წინააღმდეგი იყო ყველაზე მოკრძალებულ სოფლის ექიმის თანამდებობაზეც კი, ქართველი დაენიშნა. მეფის რუსეთის ადმინისტრაციას საიდუმლო ინსტრუქციები მოსდიოდა პეტერბურგიდან – ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ექიმად არაქართველი ესკულაპები დაენიშნათ, ხოლო ქართველი ექიმები რუსეთის შორეულ, მიყრუებულ გუბერნიებში დაემკვიდრებინათ. ამ უსამართლობის შესახებ გაიგეს თბილისში, დატრიალდნენ ნათესავი თავადები და, რაც მთავარია, ტფილისის გუბერნიის მთავარი ექიმი **ტიტე ქორიძე** და, როგორც იქნა, 1900 წლის 20 აგვისტოს თავად ნიკო ჯანდიერს აღირსეს სოფელ ველისციხის ქსენონის (ამბულატორიის) რიგითი ექიმის თანამდებობა.

მადლიერი ნიკო ჯანდიერი ეახლა მის მოამაგე **ტიტე ქორიძეს**, თბილისში საშინელი სიცხე იდგა. აქ მას ცნობილი ქართველი მოღვაწე **ნიკო ცხვედაძე** დახვდა, რომელიც ფრიად შეწუხებული ჩანდა, რადგან ილია შეუძლოდ ყოფილა და ყველა გამოცდილი ექიმი კი ქალაქიდან გაკრეფილიყო აგარაკებში. ახალგაზრდა ექიმმა სურვილი გამოთქვა, ერის მამას დახმარებოდა. ნიკო ჯანდიერმა გულდასმით გასინჯა პაციენტი და დაუდგინა ათეროსკლეროზის, დიაბეტის და გულის უკმარისობის დიაგნოზი. ყურადღება მიაქცია პოეტის გონებრივ და ფიზიკურ გადაღლას, დაუნიშნა კვების და დასვენების რეჟიმი, მედიკამენტები. საბედნიეროდ, მკურნალობამ დადებითად იმოქმედა ავადმყოფზე. იმ დროს თბილისში კიეველი პროფესორი **ვაგნერი** ჩამოვიდა და საგურამოში ილიასთან მიიყვანეს. კიეველმა ექიმმა სავსებით გაიზიარა ახალგაზრდა ექიმის დიაგნოზი და მკურნალობის ტაქტიკა, მანვე ურჩია ილიას გამგზავრებულიყო ბერლინში, პროფესორ **ერნსტ ლაიდენის** ცნობილ შარიტეს კლინიკაში. გამოჩენილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა **დავით სარაჯიშვილმა** გამგზავრების და მკურნალობის ხარჯები გულუხვად გაიღო. ნიკო ჯანდიერის პირველადი დიაგნოზი აქაც დადასტურდა და მკურნალობაშიც ცვლილებები არ შეუტანია მაშინდელი ევროპის საუკეთესო თერაპევტს – ერნსტ ლაიდენს. ქართული საზოგადოების სასიხარულოდ, ილია მოკეთებული დაბრუნდა თბილისში. ის ინახულა ახალგაზრდა ექიმმა ნიკო ჯანდიერმაც, რომელმაც შეიტყო მისი დიაგნოზის და მკურნალობის უმცდარობის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეახსენა მან თავის სახელოვან პაციენტს, რომ მისი (ილიას) წყალობით შეძლო ნიკომ საექიმო განათლების მიღება ხარკოვის უნივერსიტეტში. ილიას თურმე ძალიან ეამა ამის მოსმენა.

ნიკო ჯანდიერმა ენერგიულად დაიწყო მუშაობა ველისციხის ქსენონში. ავადმყოფები აკითხავდნენ არა მარტო ამ დიდი



> ჩვენში ოდითგან იყვნენ გამორჩეული ექიმები, რომელთაც მთელი სიცოცხლე, ცოდნა-გამოცდილება უშურველად უძღვნეს ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.
>
> **ნიკო ჯანდიერი** ქართველ ექიმთა დიდი კოჰორტის სასახელო წარმომადგენელია; სიყვარულით მას ხალხმა „პატარა ქრისტე” შეარქვა – მოარული სიკეთე, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ ჰქონდა დღეს და ღამეს, დარსა თუ ავდარს, მუდამ მზად რომ იყო, ბოლომდე გახარჯულიყო და ბრწყინვალედ აღესრულებინა პროფესიული ვალი.

სოფლიდან, არამედ მთელი კახეთიდან და თბილისიდანაც კი! დღეში საშუალოდ იღებდა 47 ავადმყოფს. 1904 წელს გადაიყვანეს სიღნაღის მაზრის ექიმად, სადაც ცხოვრობდა 104 ათასამდე ადამიანი (უფრო მეტი, ვიდრე თელავის მაზრაში). ექიმი უნდა მომსახურებოდა 74 დასახლებულ პუნქტს (დაბებს და სოფლებს). რისთვისაც რიგრიგობით ემსახურებოდა 3 ეტლი. იგი შეუსვენებლივ, ყოველდღე – დღისითა და ღამით, დარსა თუ ავდარში მიეშურებოდა ავადმყოფის დასახმარებლად.

ის საკვირველი ექიმი იყო. დიაგნოზს ხშირად შეხედვით ან გამოლაპარაკებით (ანამნეზის შეკრებით) სვამდა. ახასიათებდა ავადმყოფის მოსმენის საკვირველი უნარი. ხალხში ნიკო ჯანდიერის სამკურნალო ძალის რწმენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ავადმყოფი როგორც კი შეიტყობდა ნიკომკურნალი მოვიდაო, მაშინვე უკეთ ხდებოდა. მას სნეული ადამიანისთვის უბრალო წყალიც რომ მიეცა და ეთქვა, რომ ეს წამალია, უთუოდ მოარჩენდა, იმდენად სწამდა ხალხს მისი წამლის ძალა.

მას გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა, ახსოვდა ყველა ავადმყოფი, იცოდა მათი ცხოვრება. დინჯად მოუსმენდა მათ, თანაგრძნობით და გულთბილი რჩევით ბევრი სულიერი ტრავმა განუკურნავს და ხორციელი სატკივარიცა (თ. ვაჩნაძე, 1978 წ).

ბატონი ნიკო მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ავადმყოფებს მოუწოდებდა მორიდებოდნენ: ნაყროვანებას, მემთვრალეობას, მრისხანებას, ამპარტავნებას, სიცრუეს, შურს, ავსიტყვაობას და სხვა მარადიულ ცოდვებს, რაც ხშირად ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად იქცეოდა ხოლმე. ქიზიყმა უსაზღვროდ შეიყვარა ექიმი ჯანდიერი და მას „პატარა ქრისტე” შეარქვა. **ავლიპ ზურაბიშვილი** იგონებდა: ნიკო ჯანდიერს ხალხში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა. ხშირად გამიგონია ხალხში – „ჩვენი კარგი ექიმი და ტკბილი მკურნალი”.

ნიკო ჯანდიერმა თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა. სიღნაღის მაზრაში გახსნა აფთიაქები, ამბულატორიები, საავადმყოფოები. აღსანიშნავია ბოდბეში, **წმინდა ნინოს** დედათა მონასტერში, 4 საწოლიანი საავადმყოფოს გახსნა, სადაც წინამძღვარ **დედა მოტიას** შეასწავლა ფერშლობა. თვით ნიკო ყოველ კვირადღეს აკითხავდა ამ პაწაწინა საავადმყოფოს, ყურადღებას არ აკლებდა ავადმყოფ მონაზვნებს.

ნიკო ჯანდიერი შეთავსებით სამხედრო ექიმი და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიც იყო. მას ხშირად დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა მაზრის ადმინისტრაციის მოხელე-ჩინოვნიკებთან ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. მაზრის უფროსი და სხვა ჩინოვნიკები, წინასწარ ადგილობრივი ბობოლებისგან (უპირატესად არაქართველებისგან) იღებდნენ ქრთამს, რათა მათი ჯანღონით სავსე მუტრუკები არ გაეწვიათ ჯარში. ამის გაკეთება ექიმის დასკვნის და ცნობის გარეშე შეუძლებელი იყო. მაზრის ჩინოვნიკები „დოხტურზე” (როგორც ისინი ექიმ ჯანდიერს დამცინავად უწოდებდნენ), ზეწოლას ახდენდნენ, რათა მას სასურველი ცრუ დასკვნა – ცნობა გაეცა მათი პროტეჟესთვის. კეთილსინდისიერი ექიმი არ ეპუებოდა კორუმპირებული ჩინოვნიკების ზეწოლას და ასეთ „ცრუ-ავადმყოფებს” თბილისის სამხედრო სამედიცინო კომისიაზე აგზავნიდა საექსპერტოდ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნიკო ჯანდიერის დიაგნოზი შეეცვალა თბილისის გუბერნიის სამხედრო-საექიმო კომისიას. გამონაკლის შეღავათებს ექიმი ჯანდიერი მხოლოდ აბიტურიენტ და სტუდენტ წვევამდელებს თუ გაუწევდა.

### ნიკო ჯანდიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა

ნიკო ჯანდიერი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: **„როგორც ქართველი ინტელიგენტი და მოქალაქე ყოველ საზოგადო საქმეში დიდის მოწადინებით და დაუღალავი ენერგიით ვმონაწილეობდი. არ ვერიდებოდი, არც დაღლას, არც საკუთარი თანხის გაღებას იმ საქმისთვის, რომელიც ჩემი აზრით სასარგებლო და საჭირო იყო ჩვენი საზოგადოებისთვის. სინდისისთვის არ მიმტყუნია და მხოლოდ ადამიანის სიყვარული და მისი კეთილდღეობის სურვილი მამოძრავებდა და შეადგენდა მიზანს ჩემი სიცოცხლისათვის”.**

ნიკო ჯანდიერმა სიღნაღში დააარსა ღარიბთა დამხმარე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელთა თავმჯდომარე თავად იყო.

ნიკო ჯანდიერის თაოსნობით სიღნაღში პირველად გაიხსნა წიგნის მაღაზია, ბიბლიოთეკა, წმინდა მარინეს სახელობის საქალებო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ პროგიმნაზიად გადაკეთდა, ასევე, ვაჟთა სასწავლებელიც. ამ მამულიშვილურ საქმეში ნიკო ჯანდიერს ხელს უშლიდნენ კავკასიის განათლების მზრუნველი **ნიკოლაი რუდოლფი**, სიღნაღის ქალაქისთავი **ენიკოლოპოვი** და ადგილობრივი არაქართველი ვაჭარ-მევახშენი, ზიგიერთი გადაგვარებული ვაი-ქართველი.

ნიკო ჯანდიერს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდ დახმარებას უწევდა მეუღლე – **მარიამ ზაქარიას ასული ქობულაშვილი** (ნიკომ თავადის ასული შეირთო 1909 წ. იყო უცხო ენების უბადლო მცოდნე, თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული. მათ შექმნეს ტკბილი ქართული მრავალშვილიანი ოჯახი).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ჯანდიერს ქიზიყის არაქართული მოდგმის ჩარჩ-ვაჭრებთან და მევახშეებთან ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ უცხოტომელებს მევახშეობის ვალში გახვეული ჰყავდათ კახეთის მოსახლეობის უმრავლესობა. ქიზიყელები, მათი მცირერიცხოვანი ინტელიგენციის მეთაურობით, არ შეურიგდნენ ასეთ დაკაბალებას და შეეცადნენ მათგან თავის დაღწევას. მათ ქვემო მაჩხაანში სავაჭრო დეპო გახსნეს, სადაც იაფად იყიდებოდა გლეხებისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ფართლეულობა, სხვადასხვა წვრილმანი საქონელი. ეს არ ეჭაშნიკათ ადგილობრივ არაქართველ ვაჭარ-მევახშეებს. მათ ისეთივე დუქნები გახსნეს, ოღონდ ეშმაკურად ფასდაკლებით. სამწუხაროდ, ქართველი მოსახლეობა წამოეგო მათ ანკესს და „იაფი” საქონლის გასაღებით ხელი შეუწყვეს ქართველთა სავაჭრო დეპოს გაკოტრებას. ვერაგი უცხოტომელები სიხარულს ვერ მალავდნენ და ქართველებს ხმამაღლა დასცინოდნენ – „გიჟ - ვრაცუებს” ეძახდნენ.

ნიკო ჯანდიერი გულისტკივილით შეჰყურებდა გადამთიელი ვაჭარ-მევახშეების ალვირახსნილ პარპაშს სიღნაღის მაზრაში. მისი თაოსნობით შეძლებულმა ქართველებმა შეაგროვეს თანხა და დააარსეს საკრედიტო ბანკი, სადაც ყოველ ქართველს შეეძლო შეღავათიან ფასებში აეღო სესხი (კრედიტი). ამან საშუალება მისცა ქართველობას შეეძინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შხამ-ქიმიკატები და მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქონელი, რაც გლეხებს დასჭირდებოდათ. ამ ბანკის გახსნამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა ქიზიყელ გლეხთა სასარგებლოდ: გაუმჯობესდა მევენახეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა, აიგო სახლები. თბილისში აშენდა თამბაქოს ფაბრიკა „ქიზიყი”. მოკლედ, ქართველმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ამან უცხოტომელ ვაჭარ-მევახშეთა გაბოროტება გამოიწვია. მათ ხელიდან ეცლებოდათ სხვადასხვა ხრიკით შეძენილი ქონება. გახშირდა დაბეზღებები ადგილობრივ და ტფილისის ადმინისტრაციაში. მთავარი სამიზნე იყო ექიმი ჯანდიერი. აღსანიშნავია, რომ ჩარჩ-ვაჭრების უმრავლესობა ნიკოსგან, როგორც მკურნალისგან, დავალებულნი იყვნენ, რადგან მას ბევრი მათგანის სიცოცხლეც გადაურჩენია: ნიკო ჯანდიერს სთავაზობდნენ დიდძალ თანხას, რომ სიღნაღს გასცლოდა, მაგრამ ის არ შეეპუა ადგილობრივი ბობოლების მუქარებს. მან შექმნა შირაქის მეცხვარე-მესაქონლეთა საზოგადოება „მწყემსი”, რომელსაც შეღავათიან სესხს აძლევდა საკრედიტო ბანკი. ნიკო მონაწილეობდა კახეთის რკინიგზის მშენებლობაში. ნიკო ჯანდიერს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიზიყის დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში. ცარიზმმა ისარგებლა რა ქართველი თავად-აზნაურების ბედოვლათობით და უნიათობით, ხელში ჩაიგდო უზარმაზარი სავარგულები ქიზიყში, ალაზნის პირას. მეფის მოხელეებმა თავხედურად ქართველთა მიწები მიითვისეს და „საუდელოდ” გამოაცხადეს. ისინი გადამთიელებს იწვევდნენ რუსეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან და თითქმის მუქთად აძლევდნენ საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებს. უმიწაწყლო ქართველებს კი უარით ისტუმრებდნენ. რუსი ჩინოვნიკების ცინიზმი უსაზღვრო იყო: ქართველები ველური, უქნარა, ზარმაცი და უცოდინარი ხალხი ხართო. აი, ჩამოვლენ გერმანელები, ბერძნები, კაზაკები და მუქთახორა ქართველებს გასწავლითო მიწის დამუშავებას, ვაჭრობას, ხელოსნობას. მოკლედ, უცხოტომელები თქვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად მოდიანო?! თითქმის მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა შირაქში, სადაც **ვაჟა-ფშაველას** თაოსნობით დასახლდნენ მცირემიწიანი ხევსურები, ფშაველები, თუშები. მდიდარმა, ნაყოფიერმა მიწა-წყალმა, ახალი ჩასახლებულების გამრჯე შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მანამდე მიტოვებულ მიწაზე უხვმა მოსავალმა შური აღუძრა მეფის ადმინისტრაციის რუს მოხელეებს და მათაც ჩვეული თავხედობით და ხრიკებით ეს ახლადდასახლებული მხარე უკანონოდ, მითვისებულად, ნაძალადევად გამოაცხადეს. მათ ფშავ-ხევსურებს და მთიელებს მოსთხოვეს სასწრაფოდ დაეცალათ ათვისებული სავარგულები. მათ შორიდან აქეზებდნენ ხარბი ჩარჩ-ვაჭრები (არაქართველები, რომლებმაც მოისყიდეს რუსი ჩინოვნიკები და ქართველი გლეხების გაყრის შემდეგ ლამობდნენ ამ ბარაქიანი მიწა-წყლის ჩალის ფასად შეძენას). სამწუხაროდ, ახალჩამოსახლებულებში არ იყო ერთსულოვნება. ბობოლა თუშებმა, რომლებიც ცხვრის უზარმაზარ ფარებს ფლობდნენ (ათას, ათიათას და მეტ ცხვარს), ღარიბი თანამოძმეების წინააღმდეგ სასამართლოში იჩივლეს, ჩვენ გვჭირდებაო შირაქის საძოვრები და ჩვენმა თანამემამულეებმა უკანონოდ დაკავებული საძოვრები, ბაღები და ყანები დატოვონ და ჩვენ გადმოგვცენო. ამას შორიდან გაფაციცებით აკვირდებოდნენ რუსი მოხელეები და სომეხი ჩარჩ-ვაჭრები. ისინი წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას და „გიჟ-ვრაცუების” გაცუცურაკებას. მოულოდნელად სასამართლოზე გამოჩნდა ვაჟა-ფშაველა. თუშებმა მოსამართლეს წინასწარ მისცეს ქრთამი და მან პროცესი აპრობირებული სცენარით წარმართა. თუშებმა მოსარჩელედ ვინმე ცისკარიშვილი გამოიყვანეს. მას დაუპირისპირდა ვაჟა-ფშაველა. ცისკარიშვილმა თანამემამულეებს თავხედურად დასდო ბრალი „კანონის დარღვევაში” და მოსთხოვა ღარიბ ფშავ-ხევსურებს დაეტოვებინათ „უკანონოდ” მითვისებული საძოვარ-სავარგულები. დარბაზში დამსწრე რუსმა მოხელეებმა და ჩარჩ-ვაჭრებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს და ის იყო მოსამართლეს უნდა გამოეცხადებინა განაჩენი, რომ ვაჟა-ფშაველამ, ვერაფერი შეასმინა რა, გადაგვარებულ ქართველს, ისეთი მუშტი გაარტყა სახეში, რომ ის რამდენიმე საათი გრძნობაზე ვერ მოვიდა. ვაჟა დარბაზშივე დააპატიმრეს „ხულიგნობისთვის”. სასამართლო პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო, მანამდე კი დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და შირაქის საძოვრებისთვის არავის სცხელოდა. ვაჟაც გამოვიდა ციხიდან და უცხოტომელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

მეფის მთავრობა ფარისევლურად აცხადებდა, რომ კერძო საკუთრება „წმინდა და ხელშეუხებელია”. ქართველ ხალხს სამუდამოდ ეკარგებოდა მამა-პაპათა სისხლით გაპოხილი მიწები. უცხოტომელების სამუდამო დამკვიდრებას და ქართველთა ამოძირკვას თითქოსდა წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ამ გამოუვალ მდგომარეობაში ნიკო ჯანდიერმა და ვაჟა-ფშაველამ დიდი გამჭრიახობა გამოიჩინეს. მათ დაიწყეს თავად-აზნაურებთან კარდაკარ სიარული, მიაგნეს კერძო საკუთრების დამადასტურებელ ძველ სიგელ-გუჯრებს, რაც მეფე ერეკლე II-ს გაუცია კახელი თავადებისთვის და თუშ-ფშავ-ხევსურებისთვის სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის. ამით გახარებულმა ნიკო ჯანდიერმა სასამართლოში უჩივლა „საუდელო სამმართველოს” და პროცესი მოიგო. ცარიზმის მექრთამე ჩინოვნიკები იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ ქიზიყის მიწა-წყლის დაკარგვას. ამრიგად, კახეთის თავადებმა ნიკოს გამჭრიახობით დაიბრუნეს დაკარგული მიწები. სამწუხაროდ, საქეიფოდ საღერღელაშლილი ეს მემამულეები მზად

*(დასასრული მე-7 გვ.-ზე)*

## დიდმკურნალები

*(მე-6 გვერდიდან)*

იყვნენ ამდენი წვალებით დაბრუნებული მამულები მიეყიდათ უცხოელი ვაჭრებისთვის. ამ გამოუვალ მდგომარეობაშიც ისევ ნიკო ჯანდიერმა იმარჯვა. მან საკრედიტო ბანკიდან თანხა გამოუყო უმიწაწყლო ქიზიყელებსა და იმერლებს, რომლებმაც მოქეიფე თავადებისგან იაფად შეიძინეს მიწები. ნიკომ თავისი დანაზოგიდანაც შეიძინა ადგილ-მამულები ბედოვლათი თავადაზნაურებისგან და ძალიან იაფად მიჰყიდა უმიწაწყლო ქართველ გლეხებს. ამ წამგებიანი „კომერციის" შესახებ ნიკო ჯანდიერს შეეკითხა მისი ბიოგრაფი **თამარ ვაჩნაძე** – ნიკომ უპასუხა: **„ვყიდულობდი თავადების მიწას, რათა ის უცხოტომელებს არ ჩავარდნოდათ ხელში. უცხოტომელი ვაჭარი ქართველ გლეხს მიწას არ დაანებებდა და თუ გაჰყიდდა, მამასისხლად! გლეხს მიწა უჭირდა, ვერ შეიძენდა, იჯარაც ბევრად უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე ჩემგან მიწის ყიდვა. უმიწაწყლოდ კი გლეხი ვერ გაჩერდებოდა და ბოგანოდ ქცეული ქალაქს შეეხიზნებოდა, ან რუსეთში გაიქცეოდა. ქიზიყი ქართველებისგან დაიცლებოდა.** – კი მაგრამ, ბატონო ნიკო, ბარემ გეჩუქებინათ თქვენი ნაყიდი მიწები გლეხებისთვის, ისინი განა უფრო მადლიერები არ დარჩებოდნენ? – შეეკითხა ბიოგრაფი თ. ვაჩნაძე დიდ მამულიშვილს. **– არა! – მიუგო ნიკომ, – ნაჩუქარი ასე ტკბილი არ არის, როგორც საკუთარი შრომით შეძენილი და მათ ბევრი მოშურნეებიც გამოუჩნდებოდათ. მე რომ საჩუქრად ადგილ-მამული მიმეცა, უმიწაწყლო გლეხებისთვის, სულ ათიოდეს თუ გავახარებდი. ჩემი შემოსავალი მეტს ვერ გასწვდებოდა, მეტის ყიდვას კი მე ვერ შევძლებდიო".** აღსანიშნავია, რომ ნიკოს, მიუხედავად დიდი შემოსავლისა, საკუთარი სახლი სიღნაღსა და თბილისში არ ჰქონია და ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა. მან მთელი თავისი ქონება მოახმარა უმიწაწყლო ქართველთა დასახლებას სიღნაღის მაზრაში. ამით მან ქიზიყს თავიდან აიცილა ეთნოკატასტროფა, რაც დღეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მძვინვარებს.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქიზიყს და მთელ საქართველოს განსაკუთრებულად უყვარდა „პატარა ქრისტედ" ხსენებული ნიკო ჯანდიერი. 1917 წელს, როცა ექიმი თვითონ გახდა ავად პარტახტიანი ტიფით, მთელი ქიზიყი და კახეთი გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, ეხსნა „პატარა ქრისტე". ეტყობა, მართლა ამ ლოცვებმა იხსნეს მკურნალი ჯანდიერი სიკვდილისგან. 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, ქიზიყში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კომუნისტ-კომკავშირლები – ჩეკისტები. მათ დრო იხელთეს და ღვაწლმოსილ მკურნალს სიკვდილით დაემუქრნენ, თუ არ გაეცლებოდა ქიზიყს. განსაკუთრებით ნიკო ჯანდიერს და ექიმ-ოფთალმოლოგ **გიორგი გიუნაშვილს** ავიწროებდა სიღნაღის რაიკომის მდივანი, სასტიკი ბოლშევიკი **მოსე ვარამაშვილი**. ნიკო ჯანდიერი გაეცალა პირსისხლიან ბოლშევიკს, დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო პოლიკლინიკაში უბნის ექიმად. რაც შეეხება ექიმ-ოფთალმოლოგ გიორგი გიუნაშვილს, ის არ შეეპუა რევკომის თავმჯდომარეს და განაგრძო მუშაობა სიღნაღში. აქ მან დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც თვალის უბადლო ექიმმა. მასთან პაციენტები თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე. შურისგან დაბოლმილმა სიღნაღის დიქტატორმა დააპატიმრა იგი 1922 წელს. სიღნაღელებმა იჩივლეს და სერგო ორჯონიკიძემ გაათავისუფლა ექიმი გიორგი გიუნაშვილი.

1924 წლის აგვისტოს, ანტისაბჭოთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში, ზოგადად კახეთში, დიდი სისხლის კალო დატრიალდა, პირველად აქ ჩამოვიდა ე.წ „ტროიკა" (დამსჯელი სამეული) **ლევან ღოღობერიძის, მიხა კახიანის** და **ივანოვ-კავკაზსკის** შემადგენლობით. მათ ამოჟუჟეს კახეთის თავად-აზნაურობა (რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ). იმ დროს, 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში, სიღნაღს, სისხლიანი წვიმების დროს, „ესტუმრა" საქართველოს რევკომის თავმჯდომარე **მამია ორახელაშვილი** (სხვათა შორის პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის წარჩინებული კურსდამთავრებული) და მისი მეუღლე, **მარიამ (მარუსია) მიქელაძე**, განათლების სახალხო კომისარი. სწორედ მათ „სტუმრობას" დაემთხვა მედიცინის ისტორიაში შემზარავი შემთხვევა – მოსე ვარამაშვილმა, სიღნაღის მაზრის რაიკომის მდივანმა, საავადმყოფოდან გამოაყვანინა თეთრხალათიანი ექიმი-ოფთალმოლოგი გიორგი გიუნაშვილი და პირადად დახვრიტა ბოდბის მონასტერთან. ასეთი შემზარავი აღსასრული თავიდან აიცილა ნიკო ჯანდიერმა და 1921 წელს გონივრულად განერიდა სიღნაღს, სადაც 20 წელი დაჰყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან მუშაობა გააგრძელა თბილისის პოლიკლინიკაში, უბნის ექიმად, თუმცა **ივანე ჯავახიშვილმა**, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, მას ცნობილი თერაპევტი **ალექსანდრე ალადაშვილი** მიუგზავნა და შესთავაზა თერაპიის კათედრის გამგის თანამდებობა. თავმდაბალმა ნიკო ჯანდიერმა მადლობა უთხრა ივანე ჯავახიშვილს (სხვათაშორის გიმნაზიაში თანაკლასელს) და უარი განაცხადა ამ საპატიო თანამდებობაზე იმ მოტივით, რომ ის უკვე ხანდაზმული (არადა მხოლოდ 50 წლის იყო) პრაქტიკოსი ექიმია და არა მეცნიერი. თბილისშიც კი ქუხდა ნიკო ჯანდიერის სახელი.

უმდიდრესი გამოცდილების ექიმს ხშირად იწვევდნენ კონსილიუმზე **ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა** და მედიცინის სხვა ქართველი კორიფეები. მის აზრს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და პატივს სცემდნენ თბილისში. მისი პაციენტები იყვნენ: **კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, ალექსანდრე შატილოვი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, შიო მღვიმელი, მაკა საფაროვა-აბაშიძისა, ვანო სარაჯიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე მაჭავარიანი** და სხვა თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენი.

ნიკო ჯანდიერს მოხუცებულობის დროსაც არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1931 წელს მან მოინახულა მოსკოვის დონის მონასტერი ვსესვიატსკოე. მან თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა **ივანე ჯავახიშვილს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს**, ცნობილ არქეოლოგ **დავით ჩიქოვანს**. სწორედ დ. ჩიქოვანმა აღმოაჩინდა **სულხან-საბა ორბელიანის** და **ვახუშტი ბაგრატიონის** საფლავები. სამწუხაროდ, ამ დიდი მამულიშვილთა საფლავები, ქართველი საზოგადოების უყურადღებობის გამო, დაკარგულად ითვლება (**პავლე ფირფილაშვილი**, 1999 წელი).

1959 წლის 28 იანვარს ნიკო ჯანდიერს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. 1968 წელს პროფესორმა **ალექსანდრე გზირიშვილმა** და **დავით აგლაძემ** საქვეყნოდ განაცხადეს, „ნიკო ჯანდიერს საქართველოს სახალხო ექიმის წოდებაც ეკუთვნოდა, რადგან ის ჭეშმარიტი მკურნალი იყო". 1964 წლის 22 დეკემბერს 91 წლის დიდი მკურნალი გარდაიცვალა და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

ქართველმა სამედიცინო საზოგადოებამ არ დაივიწყა დიდმკურნალი ნიკო ჯანდიერი. 1973 წლის 19 დეკემბერს, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლში, გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის და ბიოლოგიის სექციის, პარაზიტოლოგთა რესპუბლიკური და თბილისის თერაპევტთა საქალაქო სამეცნიერო საზოგადოებათა გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამსახურებული ექიმის, ნიკო ჯანდიერის, დაბადების 100 წლისთავს. თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი **გიორგი მარუაშვილი**. მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: **ავლიპი ზურაბიშვილი, გაბრიელ რატიშვილი**, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი **თამარ ვაჩნაძე, მიხეილ გოგიტაშვილი, თამარ ხელაშვილი**, მხატვარი **მერი ბაგრატიონი**, კომპოზიტორი **სანდრო მირიანაშვილი** და სხვები. ნიკო ჯანდიერის გარდაცვალების მეხუთე წლისთავს მიეძღვნა თბილისის უროლოგთა საზოგადოების გამომსვლელი სესია სიღნაღში. სესიას ხელმძღვანელობდა დიდი უროლოგი და მამულიშვილი, პროფესორი **ალექსანდრე გზირიშვილი**. მან ილაპარაკა იმ დიდ ზნეობრივ გავლენაზე, რომელიც მასზე ექიმ ნიკო ჯანდიერს მოუხდენია: **„ბატონმა ნიკომ თავისი მაგალითით მასწავლა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ექიმი – მკურნალიც და თავისი ავადმყოფისთვის მრავალმხრივი მზრუნველი"**.

1978 წელს რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, **თამარ ვაჩნაძემ**, გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია ბრწყინვალე ექიმის და დიდი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ჯანდიერის, ცხოვრების შესახებ. თუ გერმანელები სამართლიანად ამაყობენ **ბილროტით, ნოტნაგელით, კუსმაულით, ქვინკეთი და ალბერტ შვაიცერით**, ფრანგები – **ლაენეკით, შარკოთი, ლარეით**, რუსები – **პიროგოვით, ბოტკინით, თეოდორ გააზით, ჰირშმანით**, ქართველებს ფრიად გვესახელება, რომ გვყავდნენ სახალხო დიდმკურნალები: **ნიკო ჯანდიერი, ვანო გომართელი, გიორგი ტარსაიძე, სამსონ თოფურია, პროკოფი ჩხიკვიშვილი, შალვა მიქელაძე, ალექსანდრე (საშა) კანდელაკი, ალექსანდრე გზირიშვილი, ბონდო ჩიქოვანი, ლევან ანჯაფარიძე, გოგი მხეიძე, ნიკოლოზ კახიანი, გრიგოლ მუხაძე, ეგნატე ფიფია, პეტრე ქავთარაძე, ვალერიან მეუნარგია, სევერიან ჭოლოშვილი, გიორგი ზუბადალაშვილი, თენგიზ ბარამიძე, შალვა გოგნიაშვილი, გენო გეგეშიძე, რომან ლაბაძე, გიორგი ადამია, მამია ჩხაიძე** და სხვები. ჩვენი წერილი გვინდა დავასრულოთ აკადემიკოს **ავლიპი ზურაბაშვილის** სიტყვებით: **„ნიკო ჯანდიერი ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს ქართული კულტურის ისტორიაში"**.

ექიმი
ხუტა პაჭკორია

## ახალი წიგნები




პროფესორ **მერაბ კილაძის**, მედიცინის დოქტორების – **თენგიზ ჩართოლანის** და **დავით აბულაძის** წიგნი – **„ლაპაროსკოპული ქირურგია"** წარმოადგენს პირველ ქართულ გამოცემას საქართველოში, რომელშიც მთელი მოცულობით და სისრულით წარმოდგენილია მუცლის ღრუს სხვადასხვა ორგანოზე ლაპაროსკოპული ოპერაციების და მკურნალობის თანამედროვე მიდგომები.

ავტორთა კოლექტივმა კარგად შეძლო აღნიშნული პრობლემის გაშუქება გასაგებ ფორმატში. ყველა თავი დაწერილია ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების პოზიციიდან. მათ ფართოდ წარმოადგინეს საკუთარი მასალა და მონაცემები მრავალწლიანი პრაქტიკული საქმიანობიდან. მოცემულია მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების ფოტო და გრაფიკული მასალა.

ავტორების მიერ დეტალურადაა განხილული ბარიატრიული ქირურგიის, საზარდულის და ვენტრალური თიაქრების, ელენთის და თირკმელზედა ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის, თირკმლის დაავადებების ლაპაროსკოპული მკურნალობის საკითხები.

წიგნი დაწერილია სადა ენით, რაც ლაპაროსკოპიაში გაუთვითცნობიერებელ მკითხველს შინაარსის აღქმას გაუადვილებს. განხილულია მეთოდები, ყველა ტიპის ოპერაციის საკვანძო საკითხები იმდენად დეტალურადაა მოცემული და გამდიდრებული ვიზუალური მასალით, რომ წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესო იქნება არა მარტო სტუდენტი მედიკოსებისთვის, არამედ გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც.

ნაშრომი დეტალურად მოიცავს აბდომინალური ლაპაროსკოპული ქირურგიის საკითხებს, ამდენად, შესაძლებელია მისი გამოყენება ლაპაროსკოპული ქირურგიის სახელმძღვანელოდაც.

სასიამოვნოა ავტორთა გადაწყვეტილება, რომ წიგნი მათი მასწავლებლების – **ზურაბ ცხაკაიას** და **ფილიპ მიურეს** ხსოვნას ეძღვნება.

— — — — — — — — — — — — — — — — — — —

**ჯუმბერ კუჭუხიძე, მალხაზ ჯოხაძე**

სახელმძღვანელო შედგენილია საგნის მოქმედი პროგრამის შესაბამისად და საკრედიტო სასწავლო გეგმის მიხედვით; მასში განხილულია ბოტანიკის ყველა ტრადიციული საკითხი.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მცენარეთა ანატომიაზე, მორფოლოგიაზე, სისტემატიკასა და გეოგრაფიაზე, რომლებიც ყველაზე უფრო მეტადაა დაკავშირებული ფარმაკოგნოზიასთან.

ახალი გააზრებითაა განხილული პროტოქტისტები, სოკოები და მცენარეები. მცენარეთა სისტემატიკა ძირითადად მოიცავს მეცნიერულ და ტრადიციულ მედიცინაში გამოყენებულ ტაქსონებს, რაც ქმნის მაპროფილებელი საგნის – ფარმაკოგნოზიის – შესწავლის წინაპირობას.

იგი პირველი სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე და განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლის ფარმაციის პროფილის სტუდენტებისთვის.




## სპორტი

# სახელოვანი ფეხბურთელის ხსოვნისთვის...





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ მოედანზე, სტუდენტური თვითმმართველობის (პრეზიდენტი – **კ.აბულაძე**) და სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (**ზ.ფხალაძე**) ორგანიზებით, ჩატარდა **დავით ყიფიანის** სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 24 გუნდი. შესარჩევი ეტაპი გადალახა და მეოთხედფინალში გავიდა 8 საუკეთესო გუნდი (**„კატენაჩო", „ვეტერანები", „ბრატვა", „თბილისი-სიტი", „მორგი," „რეაბილიტაცია", „ლივერპული"**).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის საუკეთესო გუნდები - **„კატენაჩო"** და **„ვეტერანები"**. დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა **„კატენაჩომ"** (ძირითადი დრო - 5-5, პენალტები 4-2); მესამე ადგილი დაიკავა გუნდმა **„თბილისი-სიტი"**-მ. ტურნირში გამოვლინდა საუკეთესო ფეხბურთელი **თენგიზ სისორდია**. ასევე, აღსანიშნავია **გიორგი ჭუმბურიძის, რევაზ მანჯგალაძის, გიორგი კიკვილაშვილის, გიორგი პაიჭაძის, გიორგი სალინაძის, დავით შველიძის, მირიან ჯიქიას, თემურ მჭედლიშვილის, ლაშა ოსეფაშვილის** გამორჩეული თამაში.

ტურნირს ესწრებოდნენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. შეირჩა პერსპექტიული ახალგაზრდები ნაკრები გუნდისთვის.

აღსანიშნავია მწვრთნელის, თსსუ-ის გამოცდილი პედაგოგის და მსაჯის, ბატონ **ვახტანგ ბაქანიძის** წვლილი ტურნირის მაღალორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

მარი ხანიკაევი

### მოსაგონარი

# კლარა ხეცურიანი



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კლარა ხეცურიანი** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის წევრი.

1972 წლიდან პროფესორი კლარა ხეცურიანის ცხოვრება, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილია. წლების მანძილზე ქალბატონი კლარა იყო თსსუ-ის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, პარალელურად მუშაობდა სამედიცინო უნივერსიტეტის ჰემატოლოგიის კათედრაზე, 1994 წლიდან ის ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიკროორგანიზმების გენური ინჟინერიის, ხოლო მოგვიანებით – მოლეკულური მიკრობიოლოგიის განყოფილებას და სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას.

დიდია კლარა ხეცურიანის წვლილი სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა განათლებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებაში. კლარა ხეცურიანის ხელმძღვანელობით შესრულდა არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი, მის მიერ ითარგმნა და გამოიცა მიკრობიოლოგიის სახელმძღვანელო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთათვის. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა საგანი „სამედიცინო ბიოტექნოლოგია გენეტიკური ინჟინერიის საფუძვლებით".

ქალბატონ კლარას შესრულებული ჰქონდა 90-მდე სამეცნიერო ნაშრომი გენეტიკური ინჟინერიისა და მიკრობიოლოგიის საკითხებზე. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კვებითი ინფექციები, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების ეპიფიტური და ნარჩენი მიკროფლორა, ფიტონციდების ანტიმიკრობული მოქმედების გავლენა საკვები პროდუქტების მიკროფლორაზე, მენინგოკოკური ინფექციები, რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვებიდან გამოყოფილი სტაფილოკოკის შტამების დახასიათება, ბორჯომის მინერალური წყლის ბაქტერიოციდულობის საკითხები, E.Coli-ის პოლირეზისტენტობა, Helicobacter pilori-ის ანტიმიკრობული რეზისტენტობა და სხვ. ქალბატონი კლარას კვლევების შედეგები ყოველთვის ფართო ინტერესს იწვევდა ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

პროფესორი კლარა ხეცურიანი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა თბილისის კლინიკებიდან მიღებული პათოგენური მიკროორგანიზმების ბიოლოგიური თვისებებისა და მათი გენეტიკის შესწავლაზე. მის მიერ, სტომატოლოგიური პროფილის კათედრებთან ერთად, კომპლექსურად განხორციელდა ისეთი პრაქტიკული ხასიათის კვლევები, როგორიცაა: „ორალური კანდიდოზის კლინიკური თავისებურებანი და Candida-ს გვარის სოკოს წამლისმიერი რეზისტენტობა", „პაროდონტიტის პათოგენეზის კვლევა და მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება", „დისბაქტერიოზის სიხშირე პაროდონტიტის სხვადასხვა კლინიკური ფორმების დროს" და ა. შ.

პროფესორი კლარა ხეცურიანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული პრინციპულობით, კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი ერთგულებით. ქალბატონი კლარას, როგორც დაუღალავი მკვლევარისა და გულისხმიერი მასწავლებლის თვისებები მუდამ სამაგალითო იქნება მისი მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის, მომავალი თაობებისთვის...

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

## გემშვიდობებით...

აკადემიურიც იყო და უშუალოც... ფიქრით და საქმით გარემოსილს, საუბარი ღიმილიანი ჰქონდა. განსწავლული, ინტელექტუალური, მოწესრიგებული, მკაცრი და გულჩვილიც; შეუდრეკელი, პირდაპირი, მებრძოლი, სიმართლის ძნელად დამთმობი, პროფესიაზე გადაგებული – ასეთად ვიცნობდით პროფესორ კლარა ხეცურიანს. იგი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო, თუმცა, რაღა სტუმარი ეთქმოდა... სამუშაო დღე ისე არ დასრულდებოდა, ჩვენთან არ შემოევლო, არ გაგვსაუბრებოდა... ყველაზე მეტად ქვეყნის პრობლემებზე ჩიოდა, ხალხის გაჭირვება სტკიოდა... დამშვიდობებისას იტყოდა: „წასვლა მიჭირს, თქვენთან გულს ვიოხებ, იმედით მავსებთ, ძალას მმატებთ, ერთგან წავიკითხე და მომეწონა, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს ვუფრთხილდებით, ისე უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანები ერთმანეთსო". საწუხარს ამბობდა თუ სასიხარულოს, მაინც ღიმილით ხსნიდა ბაგეებს... უხდებოდა, ძალიან უხდებოდა ეს ღიმილი მის სიფრიფანა აღნაგობას...

სინანულიც გამოუთქვამს იმის გამო, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ მეცნიერებას, კვლევა-ძიებას, პროფესიულ საქმიანობას შეერწყა და მიღმა დარჩა ისეთი ძვირფასი რამ, როგორიც დედობა და ოჯახია... თუმცა დასძენდა, რომ ბედნიერი იყო ძმის ოჯახით, ძმისშვილებით, სანაქებო რძლით, მათი შვილებით...

... გული გვტკივა, მაგრამ გულს ოდნავ მაინც ვიოხებთ იმის შეგრძნებით, რომ ჩვენს წილ სითბოს და სიყვარულს უშურველად ვჩუქნიდით, არასოდეს ვწყვეტდით გულს ჩვენთან, თუნდაც მოკრძალებული თხოვნით შემოსულს და შეძლებისდაგვარად ვუწვდიდით კიდეც სამეგობროდ ხელს...

... გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ღია კარიდან მოგვესალმა ისევ ღიმილით, თუმცა, უხასიათოდ იყო, მიზეზიც ვკითხეთ, პასუხად ხელი ჩაიქნია... შემოვიპატიჟეთ, ხათრი არ გაგვიტეხა და ცოტა ხნით ჩამოჯდა... რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეჩერდა... დაგვემშვიდობა და წავიდა. სამი დღით ადრე, რედაქციაში მარტოდ მყოფ ერთ-ერთ ჩვენგანს გაუზიარა – სამშაბათს ოპერაცია უნდა გავიკეთოო... სწორედ იმ დღეს შევიტყვეთ მისი უეცარი გარდაცვალების ამბავი, გაოგნებულნი შევცქეროდით ერთმანეთს...

ნამდვილად არ ელოდა მძიმე დასასრულს... ოპერაციის წინ ახლობლებისთვის უთქვამს : – რეანიმაციიდან რომ გამომიყვანენ, სამუშაო მაგიდაზე დაწყობილი საქაღალდეები ამომიტანეთო...

საქაღალდეები ისევ მაგიდაზე დევს...

ქალბატონო კლარა, დამწუხრებულნი გემშვიდობებით, დაგვაკლდით...

ნათელი ჰფენდეს თქვენს მარადიულ სასუფეველს!

**„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია**

# რევაზ თათარაძე



როგორ მოასწრო ამდენი 60 წლის ასაკში მყოფმა. ბევრისმთქმელია მისი ბიოგრაფია. წლები ირევა ერთმანეთში. თაბახის გვერდები ძლივს იტევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ეროვნული კოორდინატორის, ბატონ **რევაზ თათარაძის**, პროფესიული მოღვაწეობის თარიღებს...

1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (უნივერსიტეტი), სწავლა განაგრძო ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში, ინტერნატურაში; შემდეგ იგი ყველგან იყო: დაასრულა თბილისის უცხო ენების სახელმწიფო ინსტიტუტი (მშობლიურ ენასთან ერთად, სრულფასოვნად ფლობდა რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს); სწავლობდა უახლესი ისტორიის ინტიტუტის სოციოლოგიურ ფაკულტეტზე; ერთი წელიც არ არის ჩავარდნილი მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რომელიც მეტად მრავალფეროვანი გეოგრაფიული არეალით გამოირჩევა: აშშ – ვაშინგტონი, ილინოისის შტატი, ჩიკაგო, როკველი, მერილენდი, დიდი ბრიტანეთი – ლონდონი, ავსტრია – ზალცბურგი, ტიროლი, ვენა, ფინეთი – ჰელსინკი, კანადა – მონრეალი, მონტებელო, ბანფი, კალგარი, ბულგარეთი – სოფია, საფრანგეთი – პარიზი, ესპანეთი – ბარსელონა, კვიპროსი – ნიქოზია, ჩეხეთი – პრაღა, იტალია – პავია, კოლუმბია და კიდევ მრავალი უცხოური ქვეყანა თუ ქალაქი, სადაც ბატონ რეზოს უმოღვაწია, მონაწილეობა მიუღია არაერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრასა თუ კონგრესში და გაუმრავალფეროვნებია პროფესიული საქმიანობა.

პულმონოლოგია, შინაგანი მედიცინა და კარდიოლოგია, მწვავე კორონარული სინდრომები, ეპიდემიოლოგია, პრევენცია, მკურნალობა, სასიცოცხლო ღონისძიებანი მეანობაში, ქრონიკულ დაავადებათა პრევენცია და კიდევ მრავალი სხვა, რომელიც წარმოადგენდა მისი საქმიანობის ინტერესის სფეროს. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების არასამთავრობო სამედიცინო ორგანიზაციებთან. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავდა საბაზისო ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრინციპების ორგანიზაციული განვითარების (ACTS Georgia-International), კარდიული, ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ბავშვთა გადარჩენისა და ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო ტრენინგის პროგრამები.

ატარებდა კონფერენციებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მას ეჭირა თანამდებობები: ექიმი-ორდინატორისა – შრომის ჰიგიენის და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; შემდგომში აქვე – უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა; იყო ასისტენტი პროფილაქტიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრაზე, სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო 1990-92 წლებში დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის სამედიცინო პრაქტიკისა და ინტერნატურის დეკანის მოადგილედ; 1995 წელს იკავებს სამედიცინო უნივერსიტეტის პოლიკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრის დოცენტის თანამდებობას; შემდგომ წლებში გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინისა და თერაპიის სპეციალიზაციის კათედრების დოცენტი. მის მიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ, სამკურნალო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში დაკავებულ თანამდებობათა ნუსხა საკმაოდ ვრცელია. მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება გახლდათ საოჯახო მედიცინის პრინციპების სწავლებაში დანერგვა; მისი სამეცნიერო კვლევა, უპირატესად, მიმართული იყო გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და მათი რისკ-ფაქტორების ეპიდემიოლოგიისა და პრევენციისადმი;

კლინიკური სამუშაო მოიცავდა კონსულტაციებს ზოგად თერაპიაში, კარდიოლოგიასა და პრევენციულ მედიცინაში. პარალელურად, მუშაობდა სამედიცინო კოორდინატორად არასამთავრობო ორგანიზაცია – **„A Call to Serve Georgia"-ს** ფილიალში, სამედიცინო პროგრამების დირექტორად არასამთავრობო ორგანიზაცია – **„ექსტ ჯორჯიაში"**.

ბატონი რეზო, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, იყო ჯანმო/ევრო-ს „სინდის" პროგრამის ჯერ კოორდინატორი, შემდეგ – დირექტორი; საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის საკორდინაციო და სოციალური სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოების წევრი; ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების პროგრამებისთვის გულ-სისხლძარღვთა პრევენციის ეროვნული კოორდინატორი. ევროპის ჰიპერტენზიის საზოგადოების სპეციალისტთა სელექციის ეროვნული კომიტეტის წევრი, ქართული სამედიცინო ენციკლოპედიის სამეცნიერო-დარგობრივი რედაქციის გამგე.

იგი აწარმოებდა კვლევებს აშშ-ში, რუსეთში, უნგრეთში, მონღოლეთში, ესპანეთში, კვიპროსში, ჩეხეთში, იტალიაში, ფინეთში, კანადაში, ჟენევაში, ავსტრიაში, კოლუმბიაში, სადაც მიწვეული იყო ექპერტის რანგშიც. მის სახელს უკავშირდება გრანტები მრავალ სასიცოცხლო პროექტში. უკიდეგანო პროფესიული ღვაწლის თანამდევად შესაშურია მისი საზოგადოებრივი საქმიანობა: საქართველოს ექიმთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა ასოციაციის, საქართველოს ჰიპერტენზიის საზოგადოების თამბაქოს კონტროლის ჯანდაცვის პროფესიონალთა ალიანსის გამგეობების წევრი; ინტერნისტთა და კარდიოლოგთა საზოგადოებების წევრი; კარდიო-ვასკულური პრევენციის საქართველოს ეროვნული გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე; ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის საერთაშორისო წევრი და ა.შ. დაჯილდოებული იყო საქართველოს პრეზიდენტის „ღირსების მედლით", ბურსარის ჯილდოთი ოჯახის ექიმთა მსოფლიო კონფერენციაზე.

მისი სამეცნიერო კვლევის თემა იყო „გულის იშემიური დაავადების ეპიდემიოლოგია და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური სტატუსი თამბაქოს ფაბრიკის თანამშრომელთა შორის".

ბატონი რეზოს პუბლიკაციები, შრომები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციაზე, არტერიული ჰიპერტონიის კონტროლი მოსახლეობაში, თამბაქოს კონტროლის აქტუალური საკითხები და მრავალი სხვა ნაშრომი, იბეჭდებოდა როგორც ჩვენი, ისე მსოფლიოს ქვეყნების წამყვან ჟურნალ-გაზეთებში.

ეროვნულ და საერთაშორისო კონგრესებზე, ფორუმებზე იმართებოდა მისი ნაშრომების პრეზენტაციები; კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლო, რომ არა უმძიმესი დაავადება – სენი მოერია და აღარ მისცა მრავალმხრივი საქმიანობის გაგრძელების საშუალება.

ბატონი რეზო, უპირველესად, ადამიანი იყო – უშუალობით, თავმდაბლობით, თავაზიანობიათ, ინტელექტით. მის ღიმილიან მისალმებაში იკვეთებოდა დედის, ცნობილი სტომატოლოგის, მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგის, ქალბატონ ელიზავეტა კელაპტრიშვილის, ულამაზესი სახე; ღიმილითა და კეთილშობილებით წააგავდა დედას ძალიან.

წავიდა ჩვენგან უნიჭიერესი, ფართო ერუდიციის, მრავალმხრივ განათლებული, ქვეყნისთვის და მომავლისთვის საჭირო ადამიანი, ბატონი რევაზ თათარაძე, ღირსეული ოჯახის თავკაცი.

არასოდეს წაიშლება მისი სახელი მის პაციენტებში, ახლობლებში, კოლეგებში, ქვეყნის და უცხოეთის სამედიცინო საზოგადოების მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს შორის, როგორც სახელოვანი და სანაქებო პიროვნებისა.

ზეციური სასუფეველი დამკვიდრებოდეს!

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**